


# შტეფან ცვაიგი

## ქალის ცხოვრების ოცდაოთხი საათი



რივიერაზე, პატარა პანსიონში, სადაც ომამდე ათი წლით ადრე ვისვენებდი, ერთხელ სუფრაზე ფიცხელი კამათი ატყდა, რომელსაც ისეთი პირი უჩანდა, უთუოდ ნამდვილი ჩხუბით, ერთმანეთის ლანძღვითა და შეურაცხყოფითაც კი დამთავრდებოდა. ადამიანთა უმრავლესობას მდიდარი ფანტაზია არ ახასიათებს. ის, რაც სადღაც შორს ხდება, მათზე თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენს, მათ გრძნობაზე არ მოქმედებს, მხოლოდ ოდნავ თუ შეაშფოთებს. მაგრამ საკმარისია თვალწინ სულ უმნიშვნელო შემთხვევაც კი მოუხდეთ, უშუალოდ მათ შეეხოს, რომ ამ ხალხის განუზომელი გზნება გამოიწვიოს. ადამიანები თავიანთ გულგრილობას თითქოს თავშეუკავებელი და გადაჭარბებული სიფიცხით ანაზღაურებენ.

ამჯერადაც ასე იყო ჩვენს თანამესუფრეთა პირნავარდნილ, ბიურგერულ საზოგადოებაში, სადაც მშვიდობიანი small talk[2]-ით ვართობდით თავს, ერთმანეთს მსუბუქად ვეხუმრებოდით და სუფრიდან რომ ავიშლებოდით, მყისვე სხვადასხვა მხარეს მივეშურებოდით; გერმანელი ცოლ-ქმარი სასეირნოდ და სურათების გადასაღებად გასწევდა, ახოვანი დანიელი - თავის მოსაწყენ საქმიანობას - თევზაობას მიუბრუნდებოდა, წარჩინებული ინგლისელი ქალი წიგნებთან განმარტოვდებოდა, იტალიელი ცოლ-ქმარი მონტე-კარლოში თავშესაქცევი ექსკურსიის მოსაწყობ თადარიგს დაიჭერდა, მე კი, სიზანტეს ჩვეული, ბაღის სავარძელში გადავწვებოდი ანდა მუშაობას მივყოფდი ხელს. მაგრამ ამჯერად ფეხი არავის მოუცვლია, იმის გამო, რომ ჩვენს შორის გაცხოველებული კამათი ატყდა, რამაც ერთმანეთთან მჭიდროდ დაგვაკავშირა, და თუ რომელიმე ჩვენგანი ადგილიდან უეცრად წამოხტებოდა ხოლმე, ეს იმიტომ კი არა, რომ საზოგადოებისთვის თავი მდაბლად დაეკრა და წასულიყო, არამედ ცხარე დავის გამო, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვი, დასასრულს ყველაზე გააფთრებული სახე მიიღო.

შემთხვევა, რომელმაც ჩვენი თანამეინახეთა პატარა წრე ასე ააღელვა, ჭკმშიარტად არაჩვეულებრივი იყო. პანსიონი, სადაც შვიდნი ვცხოვრობდით, კერძო ვილის შთაბეჭდილებას ახდენდა. რა შესანიშნავი სანახავი იყო ჩვენი ფანჯრებიდან ბღვის კლდოვანი ნაპირი! სინამდვილეში ჩვენი პანსიონი დიდი სასტუმროს, „პალას ოტელის“ მხოლოდ ერთი ნაწილი გახლდათ, რომელთანაც ბაღი გვაერთებდა, ისე რომ, თუმცა განცალკევებულად ვცხოვრობდით, მის სტუმრებთან მაინც მუდმივი მისვლა-მოსვლა გვქონდა.

წინა დღით ამ სასტუმროში განსაკუთრებული ამბავი მოხდა. თორმეტ საათსა და ოც წუთზე (აუცილებელია ბუსტად აღვნიშნო დრო, რადგან მან, როგორც ამ ეპიზოდის, ისე ჩვენი ცხოველი კამათისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა), დღის მატარებლით ახალგაზრდა ფრანგი ჩამოვიდა და ბღვისპირა ოთახი დაიკავა. მარტო ესეც კი საკმარისი იყო მისი დიდი შეძლების წარმოსადგენად. ვაცმა ყურადღება არა მარტო თავისი ელეგანტობით მიიპყრო, არამედ, პირველ ყოვლისა, საოცარი და წარმოუდგენლად მიმზიდველი გარეგნობით: ნაზი, ქალური სახე, მგრძობიარე ტუჩს ზევით აკოკრებული

აბრეშუმისებური ღია ფერის ულვაში, თეთრ შუბლზე ჩამოყრილი რბილი ნაბლისფერი ხუჭუჭა თმა, ხავერდისებური თვალები, ყოველ გამოხედვაში ალერსს რომ აფრქვევდნენ - ყველაფერი ეს ჭაბუკს რაღაც სათუთ, მიმზიდველ სილამაზეს აძლევდა. თავი ისე ეჭირა, იტყოდით, მის ქცევაში ხელოვნურობისა და პრანჭვის ნატამალიც არ ურევიაო. თუ იგი შორიდან პირველი შეხედვით ვარდისფრად შეღებილ ცვილის მანეკენს ჰგავდა, რომლის მსგავსნი მოხდენილი ჯოხით ხელში ამაყად აღმართულან მოდების მაღაზიის ვიტრინებში როგორც მამაკაცის სილამაზის განსახიერებელი იდეალი, ახლოს უკვე კოჰნიობის შთაბეჭდილება ქრებოდა, რადგან მისი ბუნებრივი, ჭეშმარიტად გულდია თავაზიანობა (იშვიათი შემთხვევა!) ვაცს თანდაყოლილი ეჩვენებოდა. თავმდაბლად და გულითადად ესალმებოდა თითოეულს, ჭეშმარიტად საამო საცქერი იყო, როდესაც მისი მოუსვენარი გრაცია ყოველ ნაბიჯზე ძალდაუტანებლად თავს იჩენდა ხოლმე, ვერავინ დაასწრებდა გარდერობისკენ მიმავალი ქალისათვის პალტოს მიწოდებას, ბავშვებს არ აკლებდა ალერსიან მზერას და სახუმარო სიტყვებს, ბრდილობიანი იყო, უტიფრობის არაფერი ეცხო და იმ შესანიშნავ ადამიანებს გვაგონებდა, რომლებსაც შეგნებული აქვთ, ჩვენი ნათელი სახე და ჭაბუკური მიმზიდველობა სასიამოვნოა სხვებისათვის, ამიტომაც მხიარულნი და ხალისიანი ხდებიან. ხანდაზმულ და სნეულ ადამიანებზე, რომელნიც სასტუმროში სხვაზე მეტნი იყვნენ, მისი სიახლოვე კეთილად მოქმედებდა. თავისი სინორჩით, ჭაბუკის მომნუსხველი ღიმილით, რომელიც მოჭადოების უნარის მქონე ადამიანს ახასიათებს, ამ ვაცმა მაშინვე დაიმსახურა საყოველთაო სიმპათია.

ჩამოსვლიდან ორი საათი არც კი გასულიყო, როცა ის ჩოგბურთის თამაშში ჩაება ფართომხარბეჭიანი, ახოვანი ლიონელი ფაბრიკანტის ორ გოგონასთან - თორმეტი წლის ანეტთან და ცამეტი წლის ბლანშთან, ხოლო მათი დედა, ნაზი, სუსტი, თავშეკავებული ქალბატონი ჰანრიეტი ოდნავი ღიმილით თვალს ადევნებდა, როგორ ეპრანჭებოდნენ ახლგაზრდა უცნობს მისი ჯერ კიდევ უბუმბლო ბარტყები. გვიან საღამოს მთელ საათს ჭადრაკის დაფას უჯდა. შინაურულად უამბო ქალბატონ ჰანრიეტს თავშესაქცევი ანეგდოტი, დიდხანს სეირნობდა ტერასაზე მასთან ერთად, როდესაც ქალის ქმარი ჩვეულებისამებრ დომინოს თამაშში იყო გართული თავის მეგობართან. გვიან საღამოს კი მას შევხვდი კანტორის ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში: სასტუმროს მდივან ქალთან ინტიმური საუბარი გაება.

მეორე დღით ჩემს პარტნიორ დანიელს სათევზაოდ გაჰყვა და ამ საქმის საოცარი ცოდნა გამოიჩინა. შემდეგ დიდხანს საუბრობდა პოლიტიკაზე ლიონელ ფანრიკანტთან და, როგორც ჩანს, მასაც თავი საინტერესო თანამოსაუბრედ აჩვენა, რადგან ბღვის ხმაურში გარკვევით ისმოდა ჩასუქებული ფაბრიკანტის მგრგვინავი ხარხარი. სადილის შემდეგ, - მდგომარეობის გასარკვევად განზრახ დანვრილებით აღვნიშნავ მისი დროის გატარების ყოველ ფაზას, - კვლავ დაახლოებით ერთ საათს იჯდა ქალბატონ ჰანრიეტთან ბაღში, შავ ყავას შეექცეოდა, შემდეგ ჩოგბურთს ეთამაშებოდა მის გოგონებს, დარბაზში გერმანელ ცოლ-ქმართან საუბრობდა. ექვს საათზე მას შევხვდი, როდესაც საფოსტო ყუთში წერილის ჩასაგდებად სადგურისკენ მივდიოდი. სასწრაფოდ მომიახლოვდა და თითქოს ბოდიშს იხდისო, მითხრა, მოულოდნელად გამომიძახეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ კვლავ დავბრუნდებიო. ვახშამს სასადილო ოთახში მართლაც არ ესწრებოდა, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურად, რადგან ყოველ მაგიდაზე მარტოოდენ მასზე ლაპარაკობდნენ, აქებდნენ და აღიდებდნენ მის სასიამოვნო, მხიარულ ხასიათს.

ღამით, დაახლოებით თერთმეტ საათზე, ჩემს ოთახში ვიჯექი და ის იყო, წიგნის კითხვას ვამთავრებდი, როდესაც ბაღში გამავალი ღია ფანჯრიდან ყვირილი და აღელვებული შეძახილები მომესმა. სასტუმროში აურზაური ატყდა. მყისვე ბაღში ჩავედი უფრო შეწუხებული, ვიდრე ცნობისმოყვარეობის გამო. ორმოცდაათიოდე ნაბიჯი არც კი გამეწვლო (მანძილი ვილიდან სასტუმრომდე, როცა შევამჩნიე სასტიკად აღელვებული სტუმრები და მსახურნი. ქალბატონ ჰანრიეტს ჩვეულებად ჰქონდა ტერასაზე სეირნობა. სანამ მისი მეუღლე დამახასიათებელი პუნქტუალობით დომინოს ეთამაშებოდა ნამიურიდან[3] ჩამოსულ მეგობარს, ქალი სეირნობიდან აღარ დაბრუნდა. უბედური შემთხვევისა ეშინოდათ.

დაჭრილი ხარვივით დარბოდა ეს მძიმე, ზანტი ადამიანი ბღვის ნაპირზე, და როდესაც წყვდიადში გაჰყვიროდა „ჰანრიეტ! ჰანრიეტ!“ - მის აღელვებისაგან ჩახლეჩილ ხმაში იყო

რადაც პირველყოფილი და საშინელი, სასიკვდილოდ დაჭრილი უზარმაზარი მხეცის ღრიალს რომ წააგავდა. ოფიციანტები და სასტუმროს ბიჭები კიბებზე არბოდნენ და ჩამორბოდნენ, ფეხზე დააყენეს სასტუმროს ყველა მცხოვრები, დაურევეს პოლიციას. ჩასუქებული კაცი კი გახსნილი ჟილეტით სულ სადღაც მიიჩქაროდა, წამდაუნუმ წაიბორძიკებდა ხოლმე და წყვდიადში უაზროდ ყვიროდა; „ჰანრიეტ! ჰანრიეტ!“ ბავშვებმა გაიღვიძეს, ღამის პერანგის ამარა იდგნენ ფანჯარასთან და დედას ეძახდნენ. მამა ბევით ავარდა მათ დასამშვიდებლად.

და აქ მოხდა ისეთი საშინელი რამ, რომლის აღწერაც არ ძალმიძს, რადგან ადამიანის ჭარბი სულიერი დაძაბულობის ნუთებში იმდენი ტრაგიზმია, რომ მას ვერც კალამი და ვერც ფუნჯი ვერ გადმოსცემს. მძიმე, მხარბეჯიანი მამაკაცი მოჭრიალე კიბებზე დაეშვა. შემლილი, მოქანცული, მაგრამ მრისხანე სახე ჰქონდა. ხელში წერილი ეჭირა. - დააბრუნეთ ყველა, - ოდნავ გასაგონი ხმით მიმართა სასტუმროს მმართველს, - ხალხი დააბრუნეთ. არაფერი აღარ არის საჭირო. ცოლმა მიმატოვა.

ამ სასიკვდილოდ დაჭრილ ფრანგს ზეადამიანური გაძლებების უნარი აღმოაჩნდა, არ უჩვენა თავისი მწუხარება გარშემო მყოფთ, რომელნიც ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ. შეშინებული, შემკრთალი და დარცხვენილი ბრბო როგორც იქნა დაიშალა. ფრანგმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, სიტყვაუთქმელად ჩაუარა მათ და სამკითხველო ოთახში შევიდა, აქ კი ყველამ გავიგონეთ, როგორ დაეცა ყრუ ხმაურით მისი ლოხი სხეული სავარძელზე, მოგვესმა ველური, ცხოველური კვნესა, - ასეთი კვნესა შეეძლო ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში არასოდეს უტირია. ეს სტიქიური ტკივილი უდიდესი ძალით განიცადა თითოეულმა ჩვენგანმა, დიდმა და პატარამ. არც ერთ ოფიციანტს, ცნობისმოყვარეობით მოსულ არც ერთ სტუმარს არც გაცინება გაუბედავს და არც თანაგრძნობის სიტყვა დასცდენია. ხმაამოუღებლად ერთმანეთის მიყოლებით, გრძნობების ასეთი თავბრუდამხვევი მოზღვავეებით თითქოს დარცხვენილნი, შევიპარეთ ჩვენს ოთახებში. იქ, ჩაღამებულ დარბაზში კი, სრულიად მარტო მთენილი, თრთოდა და სლუკუნებდა დარდით გულგასენილი ადამიანი... ჩურჩულითა და ოხვრით აღსავსე სახლს კი წყვდიადი თანდათან ეუფლებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, ასეთმა შემთხვევამ, რომელიც ჩვენ თვალწინ მეხვიით გავარდა, როგორ ააღელვა ერთფეროვან და უზრუნველ დროსტარებას ჩვეული ხალხი. თუმცა ჩვენს სუფრაზე წარმომობილი გაცხოველებული და კინაღამ ურთიერთ ლანძღვით დამთავრებული ჩხუბის მიზეზი სწორედ ეს შემთხვევა გამოდგა, მთავარი მაინც ის იყო, რომ აქ აზრთა ღრმა სხვადასხვაობამ იჩინა თავი და ცხოვრებაზე საწინააღმდეგო შეხედულებანი ერთმანეთს შეეჯახა. ერთ-ერთ მოურიდებელ მოახლეს წაეკითხა განრისხებული მეუღლის მიერ დაჭმუჭნული და იატაკზე გადაგდებული წერილი, რითაც ყველამ გაიგო, რომ ქალბატონი ჰანრიეტი მარტო კი არა, ახალგაზრდა ფრანგთან ერთად გაპარულიყო (რომლის მიმართ უმრავლესობას სიმპათია თანდათან გაუქრა).

ერთი შეხედვით საკვირველი არაფერი იყო, რომ ამ დაგვიანებულმა ქალბატონმა ბოვარიმ ახალგაზრდა, ლამაზი ვაჟის გულისათვის თავისი გაბღენძილი, პროვინციელი ქმარი მიატოვა. მაგრამ სასტუმროში ყველას თავგზა დაეხნა და შეძრწუნდა ცნობით, რომ არც ფაბრიკანტს, არც მის გოგონებს, არც თვით ქალბატონ ჰანრიეტს მანამდე არასოდეს ენახათ ქალების ეს მუსუსი. მაშასადამე, საკმარისი გამოდგა საღამოჟამს ორსაათიანი საუბარი ტერასაზე და ბაღში შავი ყავის მირთმევის დროს გატარებული ერთი საათი, რომ ოცდაცამეტი წლის წესიერ ქალს თავგზა დაბნეოდა, მეორე დღესვე მიეტოვებინა ქმარ-შვილი და სრულიად უცხო ახალგაზრდა ლამაზ მექალთანეს წინდაუხედავად ატორღილებოდა. ეს თითქოსდა აუცილებელი ფაქტი ერთხმად უარყო ჩვენმა თანამეინახეთა წრემ. აქ ყველამ დაინახა საყვარლების ვერაგული და ცბიერი ფანდი: სადავოდ არ ჩანდა, რომ ქალბატონი ჰანრიეტი ახალგაზრდა ვაცთან უკვე დიდი ხანია საიდუმლოდ იყო დაკავშირებული, და ეს მაცდური სული აქ იმისათვის ჩამოვიდა, რომ გაქცევის თაობაზე ქალს საბოლოოდ მოლაპარაკებოდა. სრულიად შეუძლებელია, ამტკიცებდნენ ისინი, წესიერი ქალი მხოლოდ ორსაათიანი ნაცნობობის შემდეგ ქმარს გაჰქცეოდა საყვარლის პირველსავე დაძახებაზე. მე სიამოვნებას მგვრიდა ამის საწინააღმდეგო საკუთარი თვალსაზრისი წამომეყენებინა, ენერგიულად ვიცავდი შესაძლებლობასა და აუცილებლობასაც კი იმ ქალის ისეთი გადანყვეტილებისა, ქალისა,

რომელიც სასონარკვეთილებამდე მივიდა ხანგრძლივი მოსაწყენი ცოლ-ქმრობის მანძილზე და მზად იყო ქედი მოეხარა პირველი ენერგიული შემოტევისათვის. ამ მოულოდნელად გამოთქმულმა აზრმა ცეცხლს ნავთი დაასხა და კამათი საყოველთაო გახადა. დავა განსაკუთრებით გაცხოველდა, როცა შეურაცხყოფილმა გენერალმა და იტალიელმა ცოლ-ქმარმა ზიზღით იწყეს coup de foudre[4]-ის, როგორც სისულელისა და უგემური რომანტიკული ფანტაზიის, უარყოფა.

აქ არ ღირს გადმოგცეთ ყველა წვრილმანი სიტყვიერი ბრძოლისა, რაც სადილობისას წვრილმანი კერძიდან პუდინგამდე გაიმართა. საერთო სუფრაზე მხოლოდ პროფესიონალები იჩინენ ჭკუამახვილობას, ხოლო დასკვნები, რომლებიც სუფრაზე შემთხვევით დავისას გაცხარებით გამოჰყავთ, მეტწილად გაცვეთილია და ნაუცბათევი. ძნელია იმის ახსნაც, თუ რატომ მიიღო ამ კამათმა პირადი შეურაცხყოფელი შეჯახების სახე, - მგონია, აქ მთავარი როლი ითამაშა ორივე ცოლ-ქმრის უნებლიე სურვილმა, გამოერიცხათ მსგავსი ქარაფშუტობისა და საშიშროების შესაძლებლობა თავიანთი ცოლებისათვის. სამწუხაროდ, მათ სხვა უკეთესი ვერაფერი გაიხსენეს, ვიდრე ის, რომ ეთქვათ, - ასე შეუძლია მხოლოდ მან ილაპარაკოს, ვინც უცოლო ვაჟის მიერ შემთხვევითი, იაფფასიანი დაპყრობის კვალობაზე უცქერის ქალსო, ამან უკვე ბრაზი მომგვარა, მაგრამ როცა გერმანელმა ქალმა ავტორიტეტული ტონით დამინყო სწავლება, რომ არსებობენ ბუნებით ნესიერი ქალები და „როსკიპებად შობილნი“, რომელთა რიცხვს, მისი აზრით, ქალბატონი ჰანრიეტის ეკუთვნის, მოთმინების ფიალა ამევისო და გადავწყვიტე, თვითონვე შეტევაზე გადავსულიყავი. განვაცხადე, რომ მხოლოდ შიში საკუთარი ინსტინქტის წინაშე, ჩვენი ბუნების დემონური საწყისის წინაშე გვაიძულებს უარყოფთ ის აუცილებელი ფაქტი, რომ ცხოვრების ზოგიერთ მომენტში ქალი იმყოფება საიდუმლო ძალების ტყვეობაში, ჰკარგავს ნებისყოფის თავისუფლებასა და კეთილგონიერებას, თან ისიც დავუმატე, რომ ზოგიერთ ადამიანს მოსწონს ჩათვალოს თავი უფრო ძლიერად, ნესიერად და უმნიშვნლოდ იმათთან შედარებით, ვინც „ადვილად ჰყვება ცდუნებას“. მე პირადად მიმაჩნია, რომ ბევრად უფრო პატიოსნად იქცევა ის ქალი, რომელიც თავისუფლად და ვნებიანად ეძლევა თავის ინსტინქტს, ვიდრე ის ვინც თვალდახუჭული ატყუებს ქმარს ინტიმური სიახლოვის დროს. ასე ვამბობდი დაახლოებით, და რამდენადაც სხვები ქალბატონ ჰანრიეტს უფრო მეტი გააფთრებით ესხმოდნენ თავს, მით უფრო მეტი დაჟინებით ვიცავდი მას (სინამდვილეში უკვე საკუთარი რწმენის წინააღმდეგ). ჩემი აღფრთოვანება ორივე წყვილისათვის ნამდვილი „ტუშე[5]“ გამოდგა, როგორც ამას სტუდენტების ენაზე ამბობენ. ამან აღამფოთა ორივე ცოლ-ქმარი, რომლებიც მომართული კვარტეტით ისე სასტიკად დამესხნენ თავს, რომ გამხიარულებული მოხუცი დანიელი, რომელიც ისე იჯდა, თითქოს წამშობით ხელში ფეხბურთის მატჩის მსაჯი ყოფილიყო, იძულებული ხდებოდა დროდადრო გამაფრთხილებლად დაეკაკუნებინა მაგიდაზე, „Gentlemen, please![6]“ მაგრამ ეს მხოლოდ წუთით შველოდა საქმეს. ერთი წითური ბატონი, ცოლის გაფრთხილების მიუხედავად, სამჯერ წამოხტა მაგიდიდან, - კიდევ ცოტა, და ჩვენი დავა ერთმანეთის შეურაცხყოფელი მოქმედებით დამთავრდებოდა, რომ მასში მისის კ. არ ჩარეულიყო და ჩვენი დისკუსიის ამღვრეული წყალი ჯადოსნური ბალზამით არ დაენმინდა.

თეთრთმიანი, ხანშიშესული, წარმოსადეგი ინგლისელი ქალი მისის კ. ჩვენი სუფრის საპატიო თავმჯდომარედ ითვლებოდა. მას თავი მაღლა ეჭირა, მეგობრულად ესამლებოდა ყველას, ჩუმად, მაგრამ ინტერესით ყურს უგდებდა მოსაუბრეთა ლაპარაკს, რის გამოც სასიამოვნო იყო მისი ყურება. თავის დაჭერის უჩვეულო უნარი და სიმშვიდე ახასიათებდა, იგრძნობოდა მისი რაღაც არისტოკრატიული კარჩაკეტილობა. ყოველთვის ცალკე ცდილობდა ყოფილიყო, მაგრამ ამავე დროს თითოეულს დიდი ტაქტით აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. მისის კ. მეტწილად წიგნით ხელში ბაღში იჯდა, ხანდახან პიანინოზე უკრავდა და იშვიათად თუ უერთდებოდა საზოგადოებას ან გაცხოველებით საუბრობდა. მას თითქმის ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ ეს ქალი ყველა ჩვენგანზე საოცარ გავლენას ახდენდა. ახლა კი, როცა მან პირველად მიიღო მონაწილეობა ლაპარაკში, ყველა ჩვენგანი უხერხულობამ შეიპყრო, რადგან მისი თანდასწრებით ასეთი აყალმაყალი ავტეხეთ და ეგზომ თავდაუჭერლად მოვიქცით.

მისის კ-მ გამოიყენა დუმილი, რომელიც ჩამოვარდა მას შემდეგ, რაც გერმანელი უცებ წამოხტა და მყისვე მორჩილად თავის ადგილას მოთავსდა, მოულოდნელად ბეადაპყრო

თავისი ნათელი ზღვისფერი თვალები, როგორღაც გაუბედავად შემომხედა და საოცრად მკაფიოდ ჩამოაყალიბა ჩვენი დავის თემა: - თუ თქვენი აზრი სწორად გავიგე, უთუოდ მიგაჩნიათ, რომ ქალბატონი ჰანრიეტი... რომ ქალი შეიძლება ჩათრეული იყოს მოულოდნელ ავანტიურაში, რომ მას შეუძლია ჩაიდინოს ისეთი რამ, რასაც ერთი საათის წინათ თვითონვე შეუძლებლად ჩათვლიდა და რაშიც მისი გამტყუნება მართებული არ იქნებოდა?

- დარწმუნებული ვარ, ქალბატონო, - მივუგე.

- ასეთ შემთხვევაში ვინმეს გაკიცხვა მორალური თვალსაზრისით შეუძლებელია, მორალის ყოველგვარი დარღვევა გამართლებულია. უკეთუ ნამდვილად მიგაჩნიათ, რომ crime passionnel,[7] როგორც ფრანგულად ამბობენ, დანაშაული არ არის, მაშ, რაღა საჭიროა სახელმწიფო მართლმსაჯულება? მაშინ სულ ადვილად, - თქვენ კი ამდენ ძალღონეს ხარჯავთ, - დაუმატა ღიმილით, - ყოველ დანაშაულში შეიძლება ვნება აღმოაჩინონ და ამ ვნებით გაამართლონ იგი.

მისმა მკაფიო და ამავე დროს თითქმის მხიარულმა ტონმა, რითაც ამ სიტყვებს ამბობდა, ჩემზე საოცრად იმოქმედა, უნებლიეთ მივბაძე მისი საქმიანი ლაპარაკის ხერხს და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მივმართე: - სახელმწიფო მართლმსაჯულება ასეთ საქმეებს უდავოდ უფრო მკაცრად იხილავს, ვიდრე მე. მისი ვალია უღმობლად დაიცვას საერთო წესიერება და ურთიერთპატივისცემა, ეს კი აიძულებს მას დამნაშავე კი არ გაამართლოს, არამედ გაასამართლოს. მე, როგორც კერძო პირი, საჭიროდ არ ვთვლი სახელმწიფო ბრალმდებლის როლი ვიკისრო: დამცველის პროფესია მირჩევნია. პირადად ჩემთვის უფრო სასიამოვნოა გავუგო ადამიანს, ვიდრე ისინი გავასამართლო.

მისის კ-ს ნათელი, ზღვისფერი თვალები უმოძრაოდ მომშტერებოდნენ. იგი პასუხს აგვიანებდა. უკვე გავიფიქრე, ქალმა კარგად ვერ გამიგო-მეთქი ნათქვამი, და ვემზადებოდი ეს აზრი ახლა ინგლისურად გამემეორებინა, მარგამ მან ხელახლა დამიწყო კითხვების მოცემა ისეთი საოცარი სერიოზულობით, თითქოს გამოცდებზე ყოფილიყოს.

- თქვენი შეხედულებით, განა სამარცხვინო და გულისამრევი არ არის, რომ ქალი თავს ანებებს თავის ქმარსა და ორ ბავშვს, მიჰყვება პირველსავე შემხვედრს, მაშინ როდესაც, არც კი იცის, ღირსია თუ არა ეს კაცი მისი სიყვარულისა? ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ გაამართლოთ უკვე არც თუ ისე ახალგაზრდა ქალის ასეთი მსუბუქი და უდარდელი საქციელი, რომელსაც მართებდა საკუთარი თავის მეტი პატივისცემა თუნდაც ბავშვების გულისათვის?

- გიმეორებთ, ქალბატონო, - მივუგე, - რომ ასეთ შემთხვევაში თავს ვიკავებ განსჯისა თუ განკიცხვისაგან. შემძლია გულწრფელად ვაღიარო, წელან ცოტა გადავაჭარბე - ეს უბედური მაღამ ჰანრიეტი, ცხადია, გმირი არ არის, ასე გასინჯეთ, არც ფათერაკების მაძიებელი ნატურაა. იგი მით უფრო არც Grande amoureuse[8]-ია. რამდენადაც ვიცნობ, ის მხოლოდ ჩვეულებრივი, სუსტი ქალია. მის მიმართ ზოგ შემთხვევაში პატივისცემის გრძნობაც კი აღმეძვრის იმის გამო, რომ გაბედულება ეყო, აჰყოლოდა თავის სურვილს, მაგრამ იგი ჩემში უფრო მეტ სიბრალულს იწვევს, რადგან დღეს თუ ხვალ ძალზე უბედური იქნება. რაც მან ჩაიდინა, შეიძლება უგუნური, მეტად აჩქარებული ნაბიჯი იყოს, მაგრამ ეს ნაბიჯი სიმდაბლესა და გარყვნილებას არამცდაარამც არ უნდა მივანეროთ. აი, რატომ მგონია, რომ არავის უფლება არა აქვს სძულდეს ეს საცოდავი, უბედური ადამიანი.

- მაშ, კვლავინდებურად პატივს სცემთ მას? და თქვენ ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავთ გუშინწინ რომ ელაპარაკებოდით იმ დარბაისელ ქალსა და მეორე, უკვე სხვა დედაკაცს შორის, რომელიც გუშინ სრულიად უცხო ვაცთან ერთად გაიქცა?

- არავითარს, ჭეშმარიტად არავითარს, სულ უმნიშვნელო განსხვავებასაც კი.

-Is that so?[9] - უნებლიეთ წარმოთქვა მან ინგლისურად, ჩანდა, რომ ეს საუბარი მეტისმეტად ართობდა. ერთი წუთის ფიქრის შემდეგ თავისი ნათელი თვალებით ხელახლა შემომხედა და მხერაში კითხვა გამოეხატა.

- ხვალ რომ შევხვდეთ ვთქვათ, ნიცაში, ამ ვაჟთან ხელგაყრილ ქალბატონ ჰანრიეტს, მიესალმებოდით თუ არა?

- რა თქმა უნდა.

- და მასთან ლაპარაკს დაიწყებდით?

- ცხადია.

- და რომ... ცოლიანი რომ იყოთ, გააცნობდით ასეთ ქალს თქვენს ცოლს, თითქოს არაფერი ჩაედინოს?

- რასაკვირველია.

- Would you really?[10] - კვლავ ინგლისურად შემეკითხა ქალი, მის ხმაში კი უნდობლობა და გაოცება გამოიხატა.

- Surely I would[11], - მეც ჩემდაუნებურად ინგლისურადვე ვუპასუხე.

მისის კ. გაჩუმდა. ეტყობოდა, რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა. უცებ, თითქოს საკუთარი გამბედაობა უკვირსო, შემომხედა და მითხრა: - I don't know, if I would, Perhaps I might do it also.[12]

და იმ საოცარი დამატებლობით, რითაც მართო ინგლისელებს შეუძლიათ საუბარი უხეში სიმკვეთრის გამოუყენებლად შეწყვიტონ, ადგა და მეგობრულად ხელი გამომიწოდა.

მისმა ჩარევამ სიმშვიდე ჩამოაგდო. ყველა ჩვენგანი, წელანდელი მტრები, ინგლისელ ქალს სულის სიღრმეში მადლობას ვუძღვნიდით იმისთვის, რომ ახლა თითქოს თავაზიანად სალამს ვაძღვევდით ერთმანეთს; ურთიერთს სახუმარო სიტყვებითაც კი მივმართეთ და ამით მრისხანედ შეჭმუხნილი შუბლი სხვებსაც გავეხსენით.

თუმცა ჩვენი დისკუსია რაინდული სიმშვიდით დამთავრდა, მე და ჩემმა ამასწინანდელმა მოწინააღმდეგეებმა იმ გაცხარების შემდეგ ცხვირი მაინც ცოტათი ავიბზუეთ.

გერმანელ ცოლ-ქმარს თავი მოშორებით ეჭირა, ხოლო იტალიელებს სიამოვნებას ჰგვრიდა ჩემთვის ღვარძლიანი შეკითხვა მოეცათ: ხომ არაფერი გაგიგონიათ Cara signora Henrietta[13]-ს შესახებო?

მოჩვენებითი თავაზიანობის მიუხედავად, ჩვენი საუბარი სუფრაზე წინანდებურად ძალდაუტანებელი და გულთბილი უკვე აღარ იყო.

ჩემი მაშინდელი მოწინააღმდეგეების ირონიული სიცივე ჩემთვის ძალზე საგრძნობი გამოდგა იმ განსაკუთრებული ყურადღების წყალობით, რასაც დავის შემდეგ ჩემს მიმართ მისის კ. იჩენდა. ჩვეულებრივად ზომიერად მეტად თავშეკავებული, თანამეინახეებთან სხვა დროს სიტყვაძვირი, ახლა ხშირად მიწყებდა ლაპარაკს ბაღში, და - იმასაც კი ვიტყვოდი - სხვებისაგან მარჩევდა კიდევ, ნებას მაძღვედა მის გვერდით მევლო, მისი ამაყი თავდაჭერილობა კი ჩვენს საუბარს განსაკუთრებით სასიამოვნოს ხდიდა. გულწრფელად რომ ვთქვა, ყოველთვის შემთხვევას ეძებდა ჩემთან საუბრის გასაბმელად, ეს იმდენად აშკარა იყო, რომ თავში შეიძლება უცნაური, უმსგავსი აზრები მომსვლოდა, ქალი ხანშიშესული, ჭაღარაშერეული ადამიანი რომ არ ყოფილიყო. რაზეც უნდა ჩამოგვეგდო საუბარი, საბოლოოდ ისევ იმავე ქალბატონ ჰანრიეტს ვუბრუნდებოდით: ჩანდა, ჩემს თანამოსაუბრეს რაღაც შეუცნობელ სიამაყეს ჰგვრიდა გაეკიცხა ასეთი ატორდიალებისა და ფუქსავატობისათვის ქალი, რომელმაც თავისი მოვალეობა დაივიწყა. მაგრამ ამავე დროს ეტყობოდა, ახარებდა ის, რომ ჩემი სიმჰათია კვლავ რჩებოდა ნაზი, მოხდენილი ქალბატონი ჰანრიეტის მხარეზე და რომ ამ აზრის შეცვლას ვერავინ მაიძულებდა.

ქალი ყოველთვის ამ საგანზე მიწყებდა ლაპარაკს, საბოლოოდ არც კი ვიცოდი, რა მეფიქრა ამგვარ უცნაურ დაჟინებაზე.

ასე გრძელდებოდა ხუთ თუ ექვს დღეს, ქალს კი ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რატომ იყო

მისთვის ასეთი საუბარი ეგზომ მნიშვნელოვანი. ამაში რომ არ ვცდებოდი, საბოლოოდ დავრწმუნდი, როდესაც ერთხელ, გასეირნების უამს გავახსენე, ჩემი აქ ყოფნა დასასრულს უახლოვდება და ვფიქრობ, ზეგ გავემგზავრო-მეთქი. ნიადაგ დამშვიდებულ სახეზე უჩვეულო მწუხარება გამოეხატა, მის ცისფერ თვალებს თითქოს ღრუბელი გადაეფარაო.

- რა სამწუხაროა. თქვენთვის ჯერ ბევრი რამ მქონდა სათქმელი.

ამ ნუთიდან მისი დაბნეულობისა და მოუსვენრობის მიხედვით გავიგე, რომ ქალი მთლიანად რაღაც ფიქრებში იყო ჩაძირული. ბოლოს, ჩანს თვითონ შენიშნა ეს. საუბარი დაასრულა, ხელი გამომინოდა და მითხრა: - ახლა არ ძალმიძს ნათლად გამოვხატო ის, რისი თქმაც მინდოდა. უკეთესი იქნება დაგინეროთ.

და ჩვეულებრივზე სწრაფი ნაბიჯით სახლისკენ გაემართა.

მართლაც, საღამოს, როდესაც ჯერ კიდევ არ გვესაძილა, ჩემს ოთახში ბარათი ვიპოვე, რომელიც მისი ენერგიული, მტკიცე ხელით იყო ნაწერი. სამწუხაროდ, ჩემი სიჭაბუკის წლების წერილობით საბუთებს ფუქსავატურად ვექცეოდი და უკვე დიდი ხანია დავკარგე ეს წერილი, ამიტომ არ შემიძლია ბუსტად აღვადგინო, შევეცდები, დაახლოებით გადმოგცეთ მისი შინაარსი.

„კარგად მესმის, რომ ძალზე უცნაურად ვიქცეოდი, - მწერდა იგი, - მაგრამ გეკითხებით, შემიძლია თუ არა ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი მოგიტხროთ? ეს ამბავი იმდენად დიდი ხნის წინათ მოხდა, რომ ჩემთვის უკვე ბუნდოვან მოგონებად იქცა, და რადგან თქვენ ზეგ უკვე მიემგზავრებით, გულს მომეშვება გიამბოთ ის, რაც ოც წელიწადზე მეტია მოსვენებას არ მაძლევს. ამიტომ თუ ამას ჩემი მხრიდან თავის მობეზრებად არ ჩათვლით, გთხოვთ, ერთი საათი დამითმოდეთ“.

წერილმა, რომლის შინაარსს მხოლოდ შემოკლებით გადმოგცემთ, ძალზე დამაინტერესა. ინგლისური ენა მას სიცხადესა და სიმტკიცეს აძლევდა. ამის მიუხედავად, პასუხის დაწერა მაინც გამიძნელდა - სამჯერ დავხიე შავად შედგენილი ბარათი, სანამ შემდეგს დავწერდი: „თქვენი ნდობით მეტისმეტად კმაყოფილი გახლავართ, პირობას გაძლევთ, პატიოსნად გიპასუხოთ, უკეთუ ჩემგან ამას მოითხოვთ. ცხადია, ვერ გავხედავ იმაზე მეტი გთხოვთ, რასაც თვითონ მოისურვებთ. თქვენს ნაამბობში იყავით სავსებით გულწრფელი ჩემი და საკუთარი თავის წინაშე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს ნდობას განსაკუთრებულ პატივად ვთვლი“.

საღამოს ბარათი უკვე მის ოთახში იყო. მეორე დილას პასუხიც მივიღე.

„სავსებით მართალი ხართ. კარგია მხოლოდ სრული სიმართლე, სანახევრო სიმართლე ჩირადაც არ ღირს. ყოველმხრივ ვეცდები, არაფერი დავუმალო არც საკუთარ თავს, არც თქვენ. სადილის შემდეგ მობრძანდით ჩემთან ოთახში... სამოცდაშვიდი წლის ქალს ჭორებისა უკვე აღარ მეშინია. ამაზე არ ძალმიძს ვილაპარაკო ბაღში ან ადამიანთა სიახლოვეს. დამიჯერეთ, ჩემთვის ადვილი არ იყო ამის გადანყვეტა“.

დღისით ერთმანეთი სუფრასთან ვნახეთ და უმნიშვნელო ამბებზე ვისაუბრეთ. მაგრამ ბაღში, როდესაც მას შემთხვევით შევხვდი, ოდნავ დაბნეულმა თავი ამარიდა. რაოდენ ამაღელვებელი იყო ის სურათი, როდესაც მოხუცი, ჭაღარა ქალი გოგონასავით დაფრთხა და ფიჭვის ხეივანში მიიმალა.

საღამოს, დანიშნულ დროზე, კარზე დავუკაკუნე. მაშინვე გამიღეს. ოთახში ნახევრად ბნელოდა, ენთო მხოლოდ მაგიდის პატარა სანათი, რომელიც ირგვლივ ყვითელ შუქს ჰფენდა. მისის ვ. ძალდაუტანებლად იდგა, მომეგება, სავარძელზე მიმითითა, თვითონ კი ჩემს პირდაპირ მოთავსდა. ვგრძნობდი, ყოველი მოძრაობა წინასწარ მოფიქრებული ჰქონდა და რომ თავისი მოთხოვნა მაშინვე უნდა დაეწყო. მაგრამ სიჩუმე ჩამოვარდა და ქალს მერყეობა დაეტყო. დუმილი მაინც გრძელდებოდა. ვერ ვხედავდი მის დარღვევას, რადგან ვამჩნევდი, ჩემი თანამოსაუბრის სულში ბრძოლა იყო მისი ძლიერი ნებისყოფის წინააღმდეგ. ქვევიდან, სასტუმროდან, მოისმოდა ვალსის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები, დაძაბულად ვუგდებდი ყურს, მინდოდა შემემსუბუქებინა დუმილის მტანჯველი სიმძიმე. როგორც ჩანს, მაინც იგრძნო ამ სიჩუმის არაბუნებრივი დაძაბულობა. უცებ, თითქოს

გადასახტომად მოემზადაო, წამოინია და დაინყო: - ძნელია მხოლოდ პირველი სიტყვის თქმა. უკვე ორი დღეა გადავწყვიტე, ბოლომდე გულწრფელი და მართალი ვიყო. იმედი მაქვს მოვახერხებ ამას. შეიძლება თქვენთვის ამ წუთში გაუგებარი გამოდგეს, რატომ გიაშობთ ყოველივეს თქვენ, სრულიად უცნობ ადამიანს. მაგრამ არ არის ისეთი დღე და საათიც კი, რომ ამ შემთხვევაზე არ ვფიქრობდე, და მე, მოხუც ქალს, უნდა მერწმუნოთ: პირდაპირ აუტანელია ნიადაგ მიჭაჭვული იყო შენი ცხოვრების ერთადერთ მომენტზე, ერთადერთ დღეზე, ვინაიდან ყველაფერი, რის მოყოლაც მინდა, მოხდა ერთი დღე-ღამის, ოცდაათახი საათის განმალობაში და მე ხომ სამოცდაშვიდი წელიწადი ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე. ჩემი თავისთვის ათასჯერ მითქვამს, რომ თუ ერთ რომელიმე წუთში უხეიროდ და მოუფიქრებლად მოვიქეცი, ეს არაფერია ჩემ მიერ ათასობით გატარებულ დღეებთან შედარებით... მაგრამ არც ისე ადვილია თავი დააღწიო იმას, რასაც ჩვენ გაურკვეველ სიტყვას „სინდისს“ ვეძახით, და როდესაც მოვისმინე, თუ როგორ საღად მსჯელობდით ქალბატონი ჰანრიეტის შემთხვევის გამო, გავიფიქრე: შესაძლებელია ჩემი ცხოვრების იმ ერთი დღის თაობაზე ვინმეს რომ მოვუთხრო, ბოლო მოედოს წარსულზე ჩემს უაზრო ფიქრსა და საკუთარი თავის დაუსრულებელ გაკილვას-მეთქი. მე რომ ანგლიკანურ სარწმუნოებას<sup>[14]</sup> კი არა, კათოლიკურს ვაღიარებდე, უკვე დიდი ხნის წინათ ვპოვებდი შვებას აღსარების თქმით, მაგრამ ცოდვათა ამგვარი შემსუბუქების საშუალება ჩვენ არა გვაქვს, ამიტომ დღეს ვცდილობ ეს ამბავი თქვენ მოგიტხროთ, იქნებ ამით რაიმე შემსუბუქება ვიგრძნო. ვიცი, ყველაფერი ეს მეტად უჩვეულოა, მაგრამ თქვენ ჩემი წინადადება უყოყმანოდ მიიღეთ, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას გიძღვნი.

როგორც უკვე გითხარით, მინდა დანვრილებით მოგიტხროთ ჩემი ცხოვრების ერთი დღის ამბავი, - ყველა დანარჩენი ახლა მნიშვნელობას მოკლებული მეჩვენება, და, ალბათ, სხვისთვისაც მოსაწყენი გამოდგება. ის, რაც ორმოცდაორი წლის ასაკამდე გადამიხდენია, შეიძლება რამდენიმე სიტყვით გადმოგცეთ.

ჩემი მშობლები მდიდარი ლენდლორდები იყვნენ, ჩვენ გვეკუთვნოდა დიდი ფაბრიკები და მამულები შოტლანდიაში, და იქაურ ძველ აზნაურთა ოჯახების მსგავსად, წელიწადის მეტ ნაწილს საკუთარ მამულში ვატარებდით, ზამთარს კი ლონდონში. თვრამეტი წლისა რომ ვიყავი, ერთ საზოგადოებაში ჩემს მომავალ ქმარს გავეცანი, იგი მეორე ვაჟი იყო რ-ს ცნობილ ოჯახში და ათ წელიწადს ინდოეთის არმიაში ემსახურა. მალე ჯვარიც დავიწერეთ და შევედეთ ჩვენი წრის ხალხის უზრუნველ ცხოვრებას: წელიწადის სამ თვეს ლონდონში ვატარებდით, სამ თვეს - მამულში, დანარჩენ დროს იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში მოგზაურობას ვანდომებდით. ვცხოვრობდით ისე, რომ ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. შეგვეძინა ორი ვაჟი, ისინი ახლა უკვე დიდები არიან. როცა ორმოცი წელი შემისრულდა, ქმარი უეცრად გარდამეცვალა - ტროპიკებში ღვიძლის ავადმყოფობა დაემართა და ბოლოც მოუღო. უკანასკნელი ორი ვვირის განმავლობაში საშინლად იტანჯებოდა. ჩემი უფროსი ვაჟი მაშინ უკვე ფლოტში მსახურობდა, უმცროსი კი კოლეჯში სწავლობდა. ერთ ღამეში მთლიანად დავობლდი. ეს სიმართოვე ჩემთვის ძალზე მტანჯველი გამოდგა, - მე ხომ შევეჩვიე უახლოესი ადამიანისგან ნაზ, ალერსიან მოპყრობას.

დაცარიელებულ სახლში, სადაც ყოველი საგანი საყვარელი მეუღლის ტრაგიკულ დაკარგვას მახსენებდა, ერთი ღამე დარჩენაც კი გამიჭირდა, ამიტომ გადავწყვიტე უახლოესი წლები, სანამ ვაჟები დაცოლშვილდებოდნენ, მოგზაურობაში გამეტარებინა.

ამ მომენტიდან ჩემი ცხოვრება უაზრო და უსარგებლო გახდა. ქმარი, რომელსაც ოცდაორი წლის განმავლობაში ყველა ჩემს გულისთქმასა და გრძობას ვანდობდი, მომიკვდა, შვილებს აღარ ვჭირდებოდი. მეშინოდა, ჩემს მეღანქოლიასა და ნაღველს მათი სიტაბუკისთვის ჩრდილი არ მიეყენებინა. არაფერი არ მსურდა, არაფრისკენ არ მივისწრაფოდი.

ჯერ პარიზში გადავსახლდი. მოწყენილობის გამო მალაზიებსა და მუზეუმებში დავდიოდი, მაგრამ ქალაქი და ნივთები ჩემთვის სრულიად უცხო იყო, ხალხს გავურბოდი, - ძაძით ვიყავი მოსილი და მათ თანაგრძობის გამომხატველ მზერას ვერ ვიტანდი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ელვის სისწრაფით გაირბინა თვეებმა. როგორ მინდოდა სიკვდილი, მაგრამ ძალა არ მეყო სასურველი აღსასრული დამეჩქარებინა.



უკვე მეორე წელიწადი დაიწყო, რაც ძაძას ვატარებდი. ორმოცდაორი წლისა გავხდი. არ ვიცოდი, როგორ მომეკლა დრო და გულზე მოწოლილი დარდი გადამეყარა. ამასობაში თავი მონტე კარლოში[15] ამოვყავი. მართალი გითხრათ, იქ მოვხვდი მოწყენილობის, შემხუთველი სულიერი სიცარიელის გამო, რომელიც ისე ვერ გაძლებს, უმნიშვნელო გარე მთაბეჭდილებებით მაინც რომ არ იკვებებოდეს.

რამდენადაც ძლიერი იყო ჩემი სულიერი გამოფიტვა, მით უფრო მეტად მიწვედა გული იქითკენ, სადაც უფრო სწრაფად ტრიალებდა ცხოვრების ჩარხი, ვიდრე სადმე სხვაგან. იმათზე, ვისაც საკუთარი განცდები არა აქვთ, სხვათა ვნებანი, აღელვება ისეთსავე აღგზნებას იწვევს, როგორც თეატრი ან მუსიკა.

ამიტომ არც ისე იშვიათად შევდიოდი სამორინეში. სიამოვნებას მანიჭებდა მეხილა აღტაცება, ხან კი სასონარკვეთილება ხალხის სახეზე. მაშინ როდესაც ჩემს სულში საშინელი სიცარიელე სუფევდა. ჩემი ქმარი, თუმცა ფუქსავატი არ ყოფილა, სამორინეში მაინც ხალხით დადიოდა, და მეც როგორღაც შეუგნებლად ვბაძავდი ყველა მის ჩვევას: სწორედ იქ დაიწყო ის ოცდაოთხი საათი, რომელიც ფსონის ქალაქის თამაშზე უფრო გასართობი გამოდგა, და რამაც დიდი ხნით დაასახიჩრა ჩემი ცხოვრება.

იმ დღეს ჩემს ნათესავთან, თავადის მეუღლე მ-თან ვისადილე. ვახშმის შემდეგ თავს ჯერ ისე დაღლილად არ ვგრძნობდი, დასაძინებლად რომ წავსულიყავი. შევედი სამორინეში და თუმცა თვითონ არ ვთამაშობდი, მაინც დავდიოდი მაგიდებს შორის და ხალხის თამაშს განსაკუთრებული ხერხით ვაკვირდებოდი. ვამბობ: განსაკუთრებული ხერხით-მეთქი, რადგან ეს ჩემმა განსვენებულმა ქმარმა მასწავლა. როდესაც, ერთხელ მოთამაშეთა ცქერით დაღლილმა, შევჩივლე, მოსაწყენია მუდამ ერთი და იმავე სახეების ყურება-მეთქი: მოხუცი, დანაოჭებული კანის მქონე ქალებისა, რომლებიც საათობით სხედან სავარძლებში, სანამ ფულის ჩასვლას გადაწყვეტდნენ, გამოქნილი ყომარბაზებისა და სამორინეს კვლეუცებისა - მთელი ამ საეჭვო, ჭრელი ხალხისა, რომელიც ნაკლებად ლამაზი და რომანტიკულია, ვიდრე იმ საცოდავ რომანებში, სადაც მათ ხატავენ fleur d'eleganse[16] - ად და ევროპულ არისტოკრატიად. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოცი წლის წინათ, როდესაც იქ ჩხრიალებდა ნამდვილი ოქრო, შრიალებდნენ ბანკნოტები, ტრიალებდნენ ნაპოლეონდორები, ბზრიალებდნენ ქედმაღალი ხუთფრანკიანები, სამორინე უფრო მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა, ვიდრე ახალი მოდის სათამაშო სახლი, სადაც ჩვენს დროში მეტიჩარა ტურისტები გზამკვლეუვებით ხელში თავიანთ საცოდავ მარკებს მოსაწყენად და უინტერესოდ ფლანგავენ. ჯერ კიდევ მაშინ შემზიზიდა ეს გულცივი სახეები. და აი, აქ ჩემმა ქმარმა, რომლის საიდუმლო გატაცება იყო ქრომანტია - ხასიათის გაგება ხელისგულის მიხედვით, მიჩვენა დაკვირვების საკუთარი ხერხი, რომელიც ნამდვილად უფრო საინტერესო, სახალისო და ჭკვიანური გამოდგა, ვიდრე მაყურებელთა წრეში დგომა და მომქანცველი ჭკრეტა: სრულიად არ უნდა მეცქირა სახეზე, არამედ მხოლოდ მაგიდის ოთხკუთხედისა და ხელებისათვის, ადამიანთა ხელების მოძრაობისათვის.

არ ვიცი, გქონიათ თუ არა შემთხვევა, შეგეხედათ მწვანე მაგიდისათვის, რომლის შუაგულში მთვრალივით დაბარბაცებს ერთი ციფრიდან მეორემდე ბურთულა, და მაგიდაზე დახაზული ოთხკუთხედებისთვის, სადაც ფრიალითა და ბზრიალით ეცემიან ქალაქის ნაგლეჯები, ოქროსი და ვერცხლის წრეები, ვიდრე კრუპიე[17] ერთი მოსმით არ მოცელავს მათ, ან თავთავებივით ერთად არ დაახვავებს. მაგრამ ასეთი დაკვირვების დროს ყველაზე შემადრწუნებელი მაინც ხელებია, ნათელი, მოძრავი, მწვანე მაგიდასთან ატუბული ხელები, რომლებიც თავიანთი ბუნაგებიდან - სახელოებიდან იჭყიტებიან, თითოეული მათგანი თითქოს მტაცებელი მხეცი იყოს, გადასახტომად გამზადებული, ყოველ მათგანს თავისი ფორმა და ფერი აქვს: ერთნი შიშველნი არიან, სხვებს ასხმული აქვთ ბეჭდები და მოწკრიალე ძნკვები, ზოგი ბანჯგვლიანია გარეული მხეცივით, ზოგიც - ჭარხალივით ნითელი, თითქოს აბაზანაში მყოფი ადამიანის ტანიაო. მაგრამ ყველა აღელვებული და აცახცახებულია საშინელი მოუთმენლობით. ყოველთვის უნებლიეთ მახსენდებოდა ხოლმე ჰიპოდრომი, სადაც სტარტზე ძლივძლივობით აკავებდნენ გახელებულ ცხენებს, რომ დათქმულ დროზე ადრე არ გაიჭრან წინ.

ყველაფერი შეიძლება გაიგო ამ ხელებით, იმის მიხედვით, თუ როგორ იცდიან ისინი, როგორ ბღუჭავენ ფულს და ისევ ჰკარგავენ; ხარბი - კლანჭებივით თითებით,

მფლანგველი - მოშვებული ჟესტით, ანგარიშიანი - ხელების მშვიდი მოძრაობით, სასონარკვეთილი - აცახცახებული თითებით, ხასიათს ელვისებურად ამულავნებენ იმით, თუ როგორი ხერხით იღებენ ფულს: გორგლად აქცევენ, ნერვულად ჭმუჭნიან, თუ მოქანცულნი მძიმედ შლიან ხელს და ტოვებენ თამაშის დროს მაგიდას. ხშირად ამბობენ, ადამიანი თავს თამაშის დროს ამულავნებსო, მაგრამ მიმაჩნია, რომ მას უფრო მეტად საკუთარი ხელი ამულავნებს, რადგან თითქმის ყველა მოთამაშემ იცის სახის დაჭერა, - საყელოსზევით ატარებენ ისინი ცივ ნიღაბს impassibilit[18]-ს, აღელვების დასაფარავად პირის გარშემო ნაოჭს იკრებენ, კბილს კბილზე აჭერენ, მათი თვალები არ გამოხატავენ ნუხილს, ეს ადამიანები ახერხებენ სახის მთრთოლვარე კუნთების მოთვინიერებას და აძლევენ საკუთარ სახეს კათილშობილი გულცივობის მოჩვენებით იერს. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ცდილობენ საკუთარი სახის მართვას, რომელიც ყველაზე პირველად გვეცმათ თვალში, გავიწყდებათ ხელები, გავიწყდებათ ის, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მათი ხელებისადმი თვალყურის დევნებით, ამ ხელების საშუალებით ამოიცნობენ ყველაფერს, რის დამალვასაც ცდილობს ხელოვნური დიმილი და ნაძალადევი გულგრილობა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ხელები უსირცხვილოდ ამულავნებენ ყველა თავის საიდუმლოებას, რადგან დგება გარდაუვალი მომენტი, როდესაც დაძაბული ან მოჩვენებით მიძინებული თითები სუსტდებიან, ჰკარგავენ თავიანთ დამაჯერებლობასა და თავდაჭერილობას. იმ ერთ წამში, როდესაც რულეტის[19] ბურთულა უჭრედში ვარდება და კრუპიე ნომერს აცხადებს, ასობით ხელი უნებლიეთ აკეთებს განსაკუთრებულ, მარტოოდენ მათთვის დამახასიათებელ ინსტინქტურ მოძრაობას. და თუ შეისწავლით ხელების ამ ასპარეზობაზე დაკვირვებას, როგორც ეს მე მოვახერხე ჩემი მეუღლის წყალობით, სხვადასხვა ტემპერამენტის ასეთი თავმოყრა უფრო მეტად აგაღელვებთ, ვიდრე თეატრი ან მუსიკა. არ ძალმიძს გადმოგცეთ, რამდენგვარი ხელი არსებობს ქვეყანაზე: შმაგი ნადირები ბანჯგვლიანი მოკაკული თითებით, რომლებიც ობობასავით ხვეჭენ ფულს და ნერვული მთრთოლვარე ხელები მკრთალი ფრჩხილებით, რომლებიც ძლივს ბედავენ ფულის შეხებას, კეთილშობილნი და მდაბალნი, უხემნი და მფრთხალნი, ცბიერნი და ამავე დროს გაუბედავნი, - მაგრამ თითოეული მათგანი თავისებურია, თითოეული წყვილი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, იმ ხელების გარდა, რომლებიც კრუპიეს ეკუთვნიან. ესენი ნამდვილად მანქანებია, მოქმედებენ აღმრიცხველი აპარატის ფოლადის მოჩხაკუნე საკეტის მსგავსად, რადგანაც სხვებს შორის, ცოცხლებს შორის, ერთნი იძლევიან გულგრილ და საქმიან განკარგულებებს. მაგრამ ეს გონიერი ხელებიც კი საოცარ შთაბეჭდილებებს ახდენენ სწორედ თავიანთ ხარბ და გატაცებულ თანამოძმეებთან კონტრასტის მიხედვით. როგორც სხვა ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები, ისე დგანან ისინი მოხმაურე, აფორიაქებულ ბრბოში.

განსაკუთრებული სიამოვნება ვიგრძენი, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ამ ხელებზე დაკვირვებას შევეჩვიე. სულ ორიოდე დღე გავიდა და მათ შორის უკვე ნაცნობები მყავდა, როცა ვხვდებოდი, შემეძლო მათი დაყოფა სიმპათიურ და ბოროტ ხელებად: ბოგიერთი მათგანი თავიანთი უხემობითა და სიხარბით ისე მძულდა, რომ მუდამ თვალის არიდებას ვარჩევდი. ყოველი ახალი ხელი მაგიდაზე ჩემში ახალ საინტერესო განცდას და ცნობისმოყვარეობას იწვევდა, ხან კი, გამცემლურ თითებს რომ ვუკვირდებოდი, მაგნიყდებოდა, შემეხედა სახეზე, რომელიც გახამებული სმოკინგის საყელოში ჩაძირული ან მოელვარე მკერდზე მოღერებული, უძრავ, ცივ ნიღაბს მაგონებდა.

იმ საღამოს დარბაზში შევედი, გვერდი ჩავუარე ხალხით შემორტყმულ ორ მაგიდას და მესამეს მივუახლოვდი. ის იყო ქისაში ხელი ჩავყავი და ოქროს ფული ამოვიღე, რომ ყრუ, საშინლად დაძაბულ სიჩუმეში, რომელიც ჩამოვარდება ხოლმე ყოველთვის, როცა უკვე ქანცგამოლეული ბურთულა ერთი ციფრიდან მეორისაკენ მიგორავს, - რაღაც საოცარი ხმაური, ტკაცანი და ღრჭიალი მომესმა, თითქოს ვინმე სახსრებს იმტვრევსო. უნებლიეთ იქით გავიხედე და ვიხილე - თითქმის საშინლადაც კი მომეჩვენა ეს - ორი ხელი, რომელთა მსგავსი ჯერ არასოდეს მენახა, მარჯვენა და მარცხენა. მძვინვარე მხეცებივით ჩასტიდებოდნენ ერთმანეთს, უკიდურესი დაძაბვით უჭერდნენ და ჭიმავდნენ ერთმანეთს, თითებს ისეთი ტკაცანი გაჰქონდა, თითქოს კაკლის ნაჭუჭს ამტვრევდნო. ეს იყო იშვიათი, ნატიფი სილამაზის მაჯები, მაგრამ ზომამე მეტად დაძაბული კუნთებით, უჩვეულოდ გრძელი, უჩვეულოდ ვიწრო, მეტისმეტად თეთრი, და თითების ბოლოებში ფერმკრთალი ფრჩხილები მომრგვალებული სადაფის ფოსოებით. მთელ საღამოს ამ ხელებს

შევყურებდი, მაკვირვებდა ამათი შეუდარებელი, სრულიად თავისებური მოყვანილობა, მაგრამ რამაც პირველ ნუთებში ასე გამაოცა, ეს იყო მათი აღელვება, მათი დამთხვეული ვნებიანი გამომეტყველება. ეს კრუნჩხვით ჩაბლაუჭება და ორთაბრძოლა. მყისვე ვიგრძენი: მოჭარბებული ვნება ამ ადამიანმა თითის წვერებში ჩაიწურა, რომ მისგან თვითონ არ აფეთქებულიყო. და ია, იმ მომენტში, როცა ბურთულა მეყსეული ხმაურით უჭრედში ჩავარდა და კრუპიემ ნომერი დაიძახა, ხელები უეცრად დაიშალნენ, როგორც ერთი ტყვიით განგმირული ორი მხეცი. ისინი მკვდრებივით დაეცნენ მოკვეთილნი, ისეთი ელფერი დაედოთ უიმედობისა და სასონარკვეთილებისა, რომ გადმოცემაც არ ძალმიძს. არასოდეს მენახა ასეთი მოლაპარაკე ხელები, სადაც ყოველი კუნთი ყვიროდა და ყოველი ჟესტი გამცემლურად ამჟღავნებდა გრძობას. ერთ ნუთს ეყარნენ ისინი მაგიდის მწვანე ზედაპირზე ცოცხალ-მკვდარნი, როგორც მედუზები, ზღვის ნაპირზე გამორიყულნი. შემდეგ ერთმა მათგანმა - მარჯვენამ თითის წვერებიდან იწყო ნელ-ნელა გამოცოცხლება, აცახცახდა, უკან დაიხია, რამდენიმე წამს მაგიდაზე ბორგავდა, შემდეგ კი ნერვულად მისწვდა ჟეტონს, ბორბალივით დააბზრიალა ცერსა და სალოკ თითს შორის, უცებ ჭიქივით წამოიშართა და ასფრანკიანი ჟეტონი შავი მინდვრის შუაში გადაისროლა. მყისვე, თითქოს მოუწოდესო, ვნების ნაპერწკალი შეეპარა მანამდე მიმკვდარებულ მარცხენა ხელს: ადგა, მიუცოცდა ჟეტონის გასროლით თითქოს დაღლილ თანამოძმეს, და ახლა ორივენი ერთმანეთის გვერდით იწვნენ შემკრთალნი, შეშინებულნი და თითებს ისე აკაკუნებდნენ მაგიდაზე, როგორც ციებიანი ადამიანი კბილს კბილზე აცემინებს ხოლმე. არა, ცხოვრებაში არასოდეს მინახავს მჭევრმეტყველების ასე შემადრწუნებლად გამომხატველი, ასეთი ავადმყოფური აღგზნებისა და დაძაბულობის მქონე ხელები! ყველაფერი ამ თაღებიან შენობაში - მოლაპარაკე ადამიანთა ყრუ გუგუნი, კრუპიეს ბაზრული ძახილი, დაფეთებული ადამიანები და ბევიდან ჩამოგდებული ბურთულა, - ახლა თავის მრგვალ, პარკეტივით ბრტყელ უჭრებში მოქცეული, - მთელი ეს ხმაურიანი, აზვირთებული, სწრაფი ნაკადი მომეჩვენა მკვდარი და გაქვავებული ამ ხელებთან, ამ მთრთოლვარე, შეხუთულ, კრუნჩხვად საოცარ ხელებთან შედარებით, რომელთაც მონუსხულივით თვალს ვერ ვაშორებდი.

მეტის მოთმენა აღარ შემეძლო: უნდა მენახა იმ ადამიანის სახე, ვისაც ეს მაგიური ხელები ეკუთვნოდა. შიშით, - დიახ, სწორედ შიშით, რადგანაც ნამდვილად შიშს ვგრძნობდი ამ ხელების წინაშე, - ჩემმა მზერამ სახელოები მოძებნა და თანდათან ვიწრო მხრებისკენ წაცოცდა. კვლავ უნებლიეთ შევკრთი, რადგან ეს სახე იმავე თავმეუკავებელ, ფანტასტიკურად დაძაბულ ენაზე ლაპარაკობდა, რა ენაზეც ხელები საუბრობდნენ, ისეთივე ნაზი და ქალური სილამაზით იყო დაჯილდოებული, ისეთივე ვნების საშინელ თამაშს გამოხატავდა. ასეთი დაკარგული, განდეგილი სახე არასოდეს მენახა და სრული შესაძლებლობა მომეცა, მეჭვრიტა მისთვის როგორც ნიღბისთვის ან უთვალეო ქანდაკებისათვის, რადგან ამ სახეზე მყოფი თვალები ვერ ხედავდა ხალხისა და ნივთების გარშემორტყმულ ქაოსს. მისი შავი გუგა უძრავად გამოიყურებოდა, თითქოს ჯადოსნურ სარკვეში იმ შავი ბურთულის გამოსახულება ყოფილიყო, რომელიც დამთხვეული ხტუნვით ტრიალებდა თავის მრგვალ ყუთში. ვიმეორებ, არასოდეს მინახავს ასეთი საშინლად დაძაბული, ასეთი მომხიბვლელი სახე. იგი ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა კაცს ეკუთვნოდა, ვიწრო, ნაზი, ოდნავ წაგრძელებული და ამიტომაც ასე გამომხატველი იყო. ხელების მსგავსად იგი ვაჟკაცურ შთაბეჭდილებას კი არ ტოვებდა, არამედ თამაშით სიგიჟემდე გატაცებული ბიჭის სახეს უფრო ჰგავდა, რაც მხოლოდ შემდეგში შევნიშნე, რადგან ამ ნუთში იგი მთლად შმაგად იყო ქცეული. ხარბად გაღებულ ვიწრო პირში ნახევრად მოუჩანდა კბილები: ათი ნაბიჯის მანძილზე შეიძლებოდა შეგენიშნათ, ციებიანი ავადმყოფსავით როგორ ეცემოდნენ ისინი ერთმანეთს, როგორ მოძრაობდა ტუჩები. შუბლზე სველი ქერა თმა მიჰკვროდა. ნესტოებთან რაღაც შეუჩერებლად უღელავდა, თითქოს კანქვეშ ბღვის მცირე ბვირთები გადადიოდნენ. და ეს დახრილი თავი შეუცნობლად მიიწვედა სულ წინ და წინ, - გეგონებოდათ, ეს-ეს არის, ჩაებმებაო ბურთულის მოძრაობაში, და მხოლოდ ახლა გავიგე, თუ რატომ იყო მისი ხელები ასე მტკიცედ გადაჭდობილი: მხოლოდ ამ საწინააღმდეგო მოქმედებას, ამ კრუნჩხვას შეეძლო წინ გაჭრილი ტანის წონასწორობის დაცვა.

არასოდეს შემხვედრია ცხოვრებაში სახე, რომელზეც გატაცება ასე ურცხვად გამოხატულიყო. ვუჭვრეტდი ამ სახეს მისი უგუნურებით მონუსხული, როგორც თვითონ ის ბურთულის ხტომითა და ბზრიალით იყო მოჯადოებული. ამ ნუთიდან დარბაზში არაფერი

შემიმჩნევია; ყველაფერი მკრთალად ამღვრეულად, რუხად მეჩვენებოდა ამ ალმოდებულ სახესთან შედარებით; გადამავინცდა სხვა ხალხის არსებობა და მთელ საათს ვუკვირდებოდი ამ ადამიანს, თითოეულ მის ჟესტს.

აი, მას თვალები გაუნათდა, თითქოს აფეთქებისაგან ხელები ერთმანეთს განშორდნენო, შეკუმშული თითები გაიშალნენ, როდესაც კრუპიემ უცებ მისკენ მიხვეტა ნანატრი ნადავლი - ოცი ოქრო. ამ ნუთში სახე უეცრად გაეხსნა და უფრო ახალგაზრდის იერი დაედო, ნაოჭები გაუსწორდა, თვალები გაუბრწყინდა, კრუნჩხვისაგან მოხრილი ტანი გამართა, საზეიმო გრძნობით შეპყრობილი მხედარივით იჭდა, მისი აცმუტებული თითები აცოდვილებდნენ მოჩხრიალე ოქროს ფულს, ერთმანეთს აყრიდნენ, აიძულებდნენ ეცეკვათ, მელოდიური წვრიალა ხმა გამოეცათ. შემდეგ კვლავ მოუსვენრად მოაბრუნა თავი, მწვანე მაგიდას შეხედა კვალის მადებარი ახალგაზრდა მონადირე ძაღლივით, და უცებ ოქროს ფულის მთელი გროვა ერთ ოთხკუთხედზე დაჰყარა. ტუჩებიდან ნესტოებისკენ კვლავ გაცოცდნენ მთრთოლვარე ზვირთები, კრუნჩხვით ჩაებლაუჭნენ ერთმანეთს ხელები, ბიჯის სახე გაქრა, იგი ხარბი გამოხატულების მოლოდინმა შეცვალა, სანამ მთრთოლვარე აღელვება სასონარკვეთილებით არ დასრულდა: ჭაბუკურად აღგზნებული სახე დაჭკნა, გაფერმკრთალდა, გაფითრდა და მოხუცის სახეს დაემსგავსა, თვალები ჩაუღამდა, ჩაუქრა - ყველა ეს მოხდა ერთადერთი წამის განმავლობაში, როდესაც ბურთულა სასურველ ციფრებზე არ დაეცა. წააგო, რამდენიმე წამს უაზროდ, გამტერებული იჭდა, ვერაფერი გაეგო, მაგრამ, აი, კრუპიეს ძახილმა თითქოს გამოაფხიზლაო, თითებმა ხელახლა ჩაბღუჯეს რამდენიმე ოქრო. რწმენა უკვე გაქრა, ფული მიხდორზე დაჰყარა. შემდეგ გადაიფიქრა, მეორეზე გადაიტანა, და როდესაც ბურთულა უკვე მოძრაობდა, სწრაფად, თითქოს ზემთაგონების ძალას დაემორჩილაო, აცახცახებული ხელით ოთხკუთხედზე კიდევ ორი დაჭმუჭნული ასიგნაცია გადაისროლა.

წაგებისა და მოგების ეს წარმტაცი ცვალებადობა შეუნყვეტლად ერთ საათამდე გრძელდებოდა, და ამ ერთი საათის განმავლობაში სულმოუთქმელად ვუცქერდი, ერთი ნუთითაც არ მომიშორებია მონუსხული მხერა ამ ნიადაგ ცვალებადი სახისაგან, რომელზეც ყოველგვარი ვნება ზღვასავით მოვარდებოდა და უკუიქცეოდა ხოლმე, თვალს ვერ ვაშორებდი ამ ჯადოსნურ ხელებს, რომელთა ყოველი კუნთი პლასტიკურად გადმოსცემდა განცდათა სულ აღმავალ და დაღმავალ მრუდს. თეატრში არასოდეს მივმტერებებარ ასე დაძაბულად მსახიობის სახეს, როგორც ამ სახეს, რომელზეც, როგორც სინათლე და ჩრდილი ლანშაფტზე, გაირბენდა ხოლმე ფერებისა და შეგრძნებათა მუდმივი ცვალებადი გამა. არასოდეს არ ვყოფილვარ თამაშით ასე გატაცებული, როგორც ამ საოცარი მღელვარებით; ამ ნუთში ვინმეს რომ ჩემთვის თვალი ედევნებინა, ჩემს დაჟინებულ, გამტერებულ მხერას ჰიპნოზის მოქმედებას მიაწერდა, და მართლაც, ჩემი მდგომარეობა ახლოს იყო სრულ მონუსხვასთან, არ შემეძლო თვალი მომეშორებინა ამ სახის თამაშისაგან, და ყველაფერს დარბაზში - ჩირაღდნებს, სიცილს, ადამიანებსა და შეხედულებებს - აღვიქვამდი მხოლოდ ბუნდოვნად, როგორც ყვითელ ნისლს, რომელშიც ანათებდა ეს სახე, ალზე უალესი. ვერაფერს ვხედავდი, არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვგრძნობდი, ვერ ვამჩნევდი, როგორ ფუსფუსებდნენ ირგვლივ ადამიანები, როგორ იშვრდნენ სხვები მარნუხების დარად ხელებს, ისროდნენ ფულს ან ხვეჭდნენ მას; ვერ ვამჩნევდი ბურთულას, არ მესმოდა კრუპიეს ხმა და იმავე დროს, თითქოს ძილში ვიყავი, კაცის აღელვებისა და თავდაუჭერლობის წყალობით სრულიად ნათლად, გადიდებულად, თითქოს ამოზნექილ სარკეში ვიციქირებოდი, ვხედავდი ყველაფერს, რაც ამ ხელებსა და სახეს ემართებოდა.. ეცემოდა ბურთულა შავსა და წითელზე, მიგორავდა თუ ჩერდებოდა, ამის გარკვევისათვის რუღეტის შეხედვა არ მჭირდებოდა, - ყველაფერი, წაგება და მოგება, მოლოდინი და სასონარკვეთილება - მის გამოხედვასა და ჟესტებში არნახული გატაცებით იხატებოდა.

მაგრამ, აი დადგა საშინელი წამი. ის, რასაც ნიადაგ ვუფრთხოდი, რაც სულს მიხუთავდა როგორც მოახლოებული ჭექა-ქუხილი, მოულოდნელად დააატყდა ჩემს დაძაბულ ნერვებს. ბურთულა ხმაურით თავის უჯრებში ჩავარდა, კვლავ ჩამონვა ხანმოკლე სიჩუმე, ორასმა ბაგემ სუნთქვა შეიკრა, სანამ კრუპიეს ხმამ არ გამოაცხადა „ნოლი“ და მისმა მორჩილმა ხელმა არ მოხვეტა მოწვრიალე ოქროს ფული და მოშრიალე ქაღალდის ბანკნოტები. ამ მომენტში მაგრად მოჭერილმა ხელებმა გააკეთეს განსაკუთრებული, შეშინებული მოძრაობა, ისინი ჯერ თითქოს რაღაც არარსებულის ჩასავლებად

გამოხტენო, შემდეგ კი მეხდაკრულივით მაგიდაზე გაიშლართნენ. მერე უცებ გამოცოცხლდნენ, მაგიდიდან სხეულს ეცნენ, გარეულ კატასავით იწყეს სხეულის ქვედა ნაწილიდან ბევითკენ აცოცება, მარჯვნივ და მარცხნივ ფათური; ნერვულად ეძებდნენ ყველა ჯიბეში, დავინყებულები ხურდა ფული ხომ არ დარჩაო სადმე. ცდა უშედეგო გამოდგა, ხელები ისევ აახლებდნენ თავიანთ უაზრო, უსარგებლო ძებნას, ხოლო რულები ხელახლა ბზრიალებდა და თამაში გრძელდებოდა. წვრიალებდა ოქრო, ინეოდა სკამები, დარბაზს ავსებდა ათასგვარი ხმაური.

საშინელებით შეძრწუნებული მთელი სხეულით ვძაგძაგებდი. ყველაფერს ისე ნათლად განვიცდიდი, თითქოს ეს ჩემი თითები იყო, რომლებიც სასონარკვეთილებით იქექებოდნენ ჯიბეებსა და დაჭმუჭნილი ტანსაცმლის ნაკვეცებში თუნდაც ერთი ოქროს აღმოსაჩენად. უეცრად ჩემ წინ მჯდომარე წამოხტა ისე, ადამიანი უცებ ცუდად რომ გახდებოდა ხოლმე, სკამი ხმაურით იატაკზე დაეცა, მაგრამ ვაცმა ეს ვერ შეამჩნია, ვერ ხედავდა ხალხს, რომელიც გაოცებული და აშავე დროს დამფრთხალი გზას უთმობდა, და მაგიდას განშორდა.

ამ სურათის დანახვაზე თითქოს გაქვავდი. მყისვე მივხვდი, ვაცი სასიკვდილოდ მიდიოდა. ვინც ასე დგება ფეხზე, არ წავა სასტუმროში, რესტორანში, ქალთან, რკინიგზის კუბეში, რაიმე ცოცხლა არსებასთან, ის უფსკრულში გადავარდება. ამ ჯოჯოხეთის ყველაზე გულქვა ყომარბაზებსაც კი უნდა ეგრძნოთ, რომ მას მეტი აღარაფერი გააჩნდა - არც შინ, არც ბანკში, არც ახლობლებთან, არც ნათესავებთან. რომ მან თავისი უკანასკნელი ქონება სასწორზე დადო, სიცოცხლე წააგო და ახლა სადღაც წალასლასდა, საიდანაც არასოდეს აღარ დაბრუნდება.

შიშმა შემიპყრო, თავიდანვე მისი სახის მიხედვით შეუცნობლად შევიტყვე, რომ საქმე ეხებოდა რაღაც უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე მოგება ან წაგებაა. თითქოს შავმა ელვამ სინათლე დამიბნელა, როდესაც დავინახე, როგორ უეცრად მიატოვა სიცოცხლემ მისი თვალები, სიკვდილი რუხ საბურველად როგორ გადაეფარა ორიოდ ნუთის წინათ სიცოცხლით აღსავსე სახეს. იმდენად ვიყავი მონუსხული მისი გამომხატველი ჟესტებით, რომ უნებლიეთ მაგრად შევკუმშე მუშტები, როცა ეს ვაცი ადგილს მოსწყდა და ბარბაცით გაემართა. მე ეს მთელი არსებით განვიცადე, ვიგრძენი, რომ ჩემი ყოველი ნერვი, ყოველი ძარღვი მისი სასონარკვეთილებით იყო გამსჭვალული. რაღაცამ ხელი მკრა, უნდა გავყოლოდი მას, ფეხები თვითონ წავიდნენ მისკენ, არც კი ვიცოდი, რას ვაკეთებდი, არავის ყურადღებას არ ვაქცევდი. თავზარდაცემული მივიწვედი წინ, გავრბოდი ტალანში გასასვლელისაკენ.

ვაცი საკიდთან იდგა, მსახურმა პალტო მიაწოდა. ხელები ახლგაზრდა ვაცს აღარ ემორჩილებოდა და მსახური, თითქოს ავადმყოფს აცმევსო, დაეხმარა სახელოში ხელი გაეყარა. შევნიშნე, უნებურად როგორ ჩაიყო ხელი ჟილეტის ჯიბეში მსახურისათვის ფეხისქირის მისაცემად. მაგრამ ფული არ აღმოაჩნდა. როგორც ჩანს, უცებ ყველაფერი გაახსენდა, დაბნეულად უთხრა რამდენიმე სიტყვა, კვლავ წინ გაიჭრა და მძიმედ, თითქოს მთვრალი ყოფილიყოს, ჩაუყვა სამორინეს კიბეს. მსახურმა კი ჯერ ბიზლით შეხედა, შემდეგ მიხვდა რაც მოხდა და გაიღიმა.

მისი ქცევა შემაძრწუნებელი იყო და შემრცხვა კიდევ ამ ვაცისათვის მეცქირა. ბურგი შევაქციე, თავს ვერ ვაპატიე, რომ თეატრში მყოფსავით ვადევნებდი თვალს სხვის ტანჯვას. მაგრამ შეუცნობელმა შიშმა კვლავ წინ მიბიძგა. სწრაფად პალტო ჩავიცვი და სრულიად დაუფიქრებლად სიბნელეში ჩემდა უნებურად ამ უცნობ ვაცს გამოვეკიდე.

მისის კ-მ ერთი ნუთით შეწყვიტა ამბის მოყოლა. უძრავად იჯდა ჩემ პირდაპირ, ლაპარაკობდა თითქმის შეუსვენებლად და მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით, როგორც ლაპარაკობენ ადამიანები, რომლებიც მოემზადნენ და მომხდარი ამბავი საფუძვლიანად გაიხსენეს.

ქალს ახლა პირველად დაება ენა, შეჩერდა და მომმართა: - მე თქვენ და საკუთარ თავს დავპირდი, - დაიწყო მცირეოდენი აღელვებით, - ყველაფერი სავსებით გულწრფელად მემბნა. მაგრამ ახლა მოვითხოვ, თქვენც სრული ნდობით მომეკიდოთ და ჩემს საქციელში ფარული მოტივები არ ეძებოთ, რამაც ახლა ჩემში შეიძლება სირცხვილი არ

გამოიწვიოს, მაგრამ რაც შესაძლოა არასწორად იქნეს გაგებული. ამრიგად, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ამ სასონარკვეთილ მოთამაშეს რომ გამოვევიდე, ახალგაზრდა ვაცის სიყვარული არ მიგრძვინია და მასზე, როგორც მამაკაცზე, სულაც არ მიფიქრია, - ორმოც წელიწადს გადაცილებული ქალისათვის მამაკაცთა შემოხედვა უკვე აღარაფერს ნიშნავს. ეს ამბავი ჩემთვის უკვე დამთავრებული იყო; ამაზე უთუოდ უნდა შევჩერდე, თორემ ვერ იგრძნობთ იმის მთელ საშინელებას, რაც შემდეგ მოხდა. ჩემთვის ძნელი იყო იმ გრძნობის გარკვევა, რომელიც ეგზომ მაიძულებდა ამ უბედურის კვალს გავყოლოდი: ამას შეიძლება ვუნოდოთ ცნობისმოყვარეობა და უწინარეს ყოვლისა შიში რაღაც საშინელის წინაშე, რაც პირველი წუთიდანვე განვიცადე. ეს იყო შიში უხილავი შავი ღრუბლის წინაშე, რომელიც ამ ჭაბუკს ჩამოაწვა. მაგრამ ასეთი შეგრძნებები არ შეიძლება დაანანევრო და გაარჩიო, იმიტომ რომ ისინი ძალზე სწრაფად და უწინადად იხლართებიან ერთმანეთში. ადვილი შესაძლებელია, ჩემი საქციელი მხოლოდ დახმარების ინსტიქტური ჟესტი იყოს, - ასე გაათრევენ ხოლმე გვერდზე ბავშვს, რომელიც ავტომობილის ქვეშ ვარდება. განა შეგიძლიათ ახსნათ, რატომ ხდება, რომ ცურვის უცოდინარი ადამიანები ხიდიდან ხტებიან ხოლმე დასახრჩობად განწირულის ხსნისათვის? მათ მაგიური ძალა ამოძრავებს, ეს ძალა აიძულებს წყალში გადახტნენ, არ აძლევს საშუალებას გონს მოვიდნენ, დაფიქრდნენ, თუ რა უაზრო და საშიშია მათი ნაბიჯი. სწორედ ასე დაუფიქრებლად, ანგარიშმიუცემლად გავყევი უკან მაშინ სამორინედან გამოსულ ამ უბედურ ადამიანს ტალანში და ტალანიდან ტერასაზე.

დარწმუნებული ვარ, თქვენც და ყველა გონიერი ადამიანიც მოყვებოდა ამ შიშნარევი ცნობისმოყვარეობის ტყვეობაში, რადგან იმაზე საშინელი სურათის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, როდესაც ეს ახალგაზრდა ვაცი, სულ რაღაც ოცდაოთხი წლის ჭაბუკი მთვრალის დამახასიათებელი ბარბაცით, მოხუცივით კიბეზე ფეხებს მიათრევდა. ტერასაზე რომ ჩავიდა, მერხზე ტომარასავით გაიშლართა. ეს რომ ვნახე, ხელახლა შევძრწუნდი, - მისი საქმე უკვე წასული იყო. ასე ეცემა ხოლმე მკვდარი ან ის, რომლის ერთი კუნთიც კი სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ ამჟღავნებს. თავი საზურგეზე ცალ მხარეს გადავარდნოდა, ხელები უსიცოცხლოდ ევიდა, ლიფლიფის მკრთალ მუქზე შეიძლებოდა გგონებოდა ადამიანი, რომელმაც თავი მოიკლა. და აი, არ ძალმიძს აგისხნათ, თუ როგორ წარმოიშვა ეს ხილვა, მაგრამ იგი ჩემ წინ მეყსეულად აღიმართა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, თითქმის ხელშესახები გახდა - ამ წუთში თვალწინ იგი შუბლგანგმირული წარმომიდგა, და გაურკვეველი რწმენა დამებადა, რომ ამ ვაცს ჭიბეში დამბაჩა ედო, და რომ მის სხეულს ხვალ, ამ ან სხვა მერხზე უსიცოცხლოს, სისხლში ამოსვრილს იპოვნიან. იგი დაეცა, როგორც ქვა ეცემა უფსკრულში, სანამ ფსკერს ჩააღწევდეს. არასოდეს წარმომედგინა, რომ ადამიანის სხეულს ასე სრულად შეეძლო სასონარკვეთილებისა და მოქანცულობის გადმოცემა.

ახლა გაითვალისწინეთ ჩემი მდგომარეობა; ვიდექი ოცი თუ ოცდაათი ნაბიჯით დამორებული იმ მერხიდან, რომელზეც უძრავად გამოტილიყო ტყვიანაკრავი ადამიანი, არ ვიცოდი, რა მექნა, მსურდა დავხმარებოდი, მაგრამ თანდაყოლილი შიშის გრძნობა მაკავებდა ქუჩაში დავლაპარაკებოდი უცნობ ვაცს. გაზის ლიფლიფები მკრთალად ციმციმებდნენ ღრუბლით დაფარულ ცისქვეშ; იშვიათად თუ გაიფლვებდა გამვლელის ფიგურა; შუალამეს არაფერი უკლდა და მე მარტოდ დავრჩი ამ ბნელი აჩრდილის პირისპირ. ხუთჯერ, ათჯერ გადავწყვიტე მივსულიყავი მასთან, მაგრამ ყოველთვის ფეხს მიბორკავდა სირცხვილი, ან შესაძლებელია, ფარული შიში: გადაჩეხილი ხშირად მხსნელსაც ხომ თან გადაიყოლებს ხოლმე, - და ამ მერყეობაში თანდათან შევიგნე ჩემი მდგომარეობის უაზრობა და კომიკურობა: არ შემეძლო არც ხმის ამოღება, არც წასვლა, არც რაიმე ნაბიჯის გადადგმა, არც მისი დატოვება. მგონია დამიჯერებთ, რომ შეიძლება მთელ საათს, მთელ დაუსრულებელ საათს ბოლთას ვცემდი ამ ტერასაზე ადამიანის სრული განადგურების სურათით მონუსხული და შეძრწუნებული.

გამბედაობა არ მყოფნიდა რაიმე მეთქვა ან გამეკეთებინა. შეიძლება აქ მთელ ღამეს ვმდგარიყავი, ან დავმორჩილებოდი ცივი გონების ხმას და შინ წავსულიყავი. დიახ, მგონია შევძლებდი სასონარკვეთილებით მოკლული ამ უგრძობი კუნძის მიტოვებას, მაგრამ გადანყვეტილება მოულოდნელად ზევიდან მოვიდა. წვიმა დაიწყო. მთელ საღამოს ქარი ბღვიდან ერეკებოდა გაზაფხულის მძიმე ღრუბლებს, გულითა და ფილტვებით ვგრძნობდი, რომ ცა სულ დაბლა ჩამოწვა და აი, უეცრად რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა,

მას კი კოკისპირული წვიმა მოჰყვა. წვიმისაგან თავის დასაცავად იქვე ახლოს ფარდულის საჩეხს უნებლიეთ შევეფარე, და თუმცა ქოლგა გავშალე, ქარი მაინც წვიმის წვეთებს ბედ კაბაზე მაყრიდა. წვეთები გააფთრებით ეცემოდნენ მიწაზე და ცივი წყლის შხეფები სახესა და ხელებს მისველებდა.

მაგრამ - ეს იმდენად შემადრწუნებელი იყო, რომ ახლაც, ოცი წლის შემდეგ, როგორც კი ამ წუთს გავიხსენებ, გული მეკუმშება, - უბედური ადამიანი საშინელ თავსხმაში მერხზე ისევ უძრავად იდო. ყველა ღარიდან წყალი შხუილით ჩამოდიოდა, ქალაქიდან ეტლების გრუხუნი ისმოდა, მარჯვნივ და მარცხნივ მიმავალი ადამიანების სილუეტები გამოჩნდებოდა ხოლმე პალტოს ანუელი საყელოებიდან: ყველა სულდგმული შეშინებული გარბოდა, ეძებდა თავშესაფარს, ადამიანიც და ცხოველიც ძრწოდა თავანწყვეტილი სტიქიონის წინაშე, - ეს ადამიანის შავი გორგალი კი მერხზე არ ინძრეოდა, არც კი ირხეოდა. უკვე გითხარით, რომ ამ კაცს მაგიური თვისება ჰქონდა თავისი ყოველი გრძნობა მოძრაობით ან შესტით გამოეხატა, და არაფერს ქვეყნად ასეთი საოცარი ძალით არ შეეძლო გადმოეცა სასონარკვეთილება, სრული თავდავინწყება, გასულიერებული სიკვდილი, როგორც ამ უძრაობას, კოკისპირული წვიმის ქვეშ უსიცოცხლოდ, უგრძნობლად ყოფნას, ამ მოქანცულობას, რაც ადამიანს საშუალებას ართმევს ადგეს და რამდენიმე ნაბიჯი გადადგას თავის ბინამდე, ამ უკიდურეს გულგრილობას საკუთარი ყოფიერებისადმი. არც ერთ მოქანდაკეს, არც ერთ პოეტს, არც მიქელანჯელოს, არც დანტეს, იძულებული არ გავუხდითარ ასეთი ძალით განმეცადა უკანასკნელი სასონარკვეთილების შესტი, უკანასკნელი ამქვეყნიური ტანჯვა, როგორც მრისხანე სტიქიონის ქვეშ ამ ცოცხალმა ადამიანმა განმაცდევინა, რომელსაც მეტისმეტი დადღილობით მისგან თავის მოსარიდებელი არაქათი გამოლოეოდა.

ჩემმა არსებამ მისკენ გაიწია, სხვანაირად მოქცევა არც შემეძლო. მისვე გავიქეცი ცივი, შხაპუნა წვიმის ქვეშ და მერხზე კაცი შევანჯღრიე: „წავიდეთ!“ მკლავში ხელი წავავლე. ოდნავ შეინძრა, ეტყობოდა, მასში ნელ-ნელა თავს იჩენდა სიცოცხლის ოდნავი ნიშანწყალი, მაგრამ არ ესმოდა, რა ხდებოდა მის გარშემო. „წამოდით“ - კვლავ გამოვუწიე სველი სახელო, ახლა უკვე ძალუმად და უკმეხად. მაშინ ის ნელა, მოშვებულად წამოდგა და ადგილზე ქანაობა იწყო. „რა გინდათ?“ - შემეკითხა. საპასუხო არაფერი მქონდა, რადგან თვითონ არ ვიცოდი, რა მინდოდა, არ ვიცოდი, სად უნდა წამეყვანა ეს კაცი, ოღონდ შორს აქედან, ამ თავსხმიდან, მომემორებინა უდიდესი სასონარკვეთილების ამ უაზრო თვითმკვლელობისთვის გამზადებული მდგომარეობიდან. ხელს არ ვუშვებდი მის სახელოს, მივათრევდი მოშვებულ სხეულს წინ, ფარდულისაკენ, სადაც სახურავის ვიწრო საჩეხი ოდნავ მაინც დაგვიცავდა გააფთრებული სტიქიონისაგან. მეტი არაფერი მინდოდა, ოღონდ კი მიმეთრია ეს კაცი მშრალ ადგილას, სახურავქვეშ, იმ წუთში სხვა არაფერზე ვფიქრობდი.

და აი, აღმოვჩნდი ერთმანეთის გვერდით ამ ვიწრო ადგილზე, ზურგს უკან ფარდულის დახურული შუშაბანდი იყო, თავზე მცირე საჩეხი, მაგრამ ეს ნაკლებად გვიცავდა წვიმისაგან, ცივი შხეფები სახესა და სამოსს გვისველებდა. მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. მეტი აღარ შემეძლო დგომა ამ უცხო, თავით ფეხამდე განუწული ადამიანის გვერდით, მაგრამ მის დატოვებასაც ვერ ვბედავდი, ისე რომ ერთი სიტყვაც არ მეთქვა - აქ იგი ხომ მე მოვიყვანე. რაღაც უნდა მომხდარიყო, და მე თავი ვაიძულე სიმართლისთვის თვალი გამეხსნორებინა. ყველაზე უკეთესია, გავიფიქრე, ეტლით წავიყვანო შინ, შემდეგ კი სასტუმროში დავბრუნდები, ხვალ თვითონვე იპოვის მდგომარეობიდან გამოსავალს-მეთქი. შევეკითხე კაცს, რომელიც უძრავად იდგა ჩემ გვერდით და თვალშეუდგამ წყვდიადში გაშტერებით იყურებოდა: -სად ცხოვრობთ?

- ბინა არა მაქვს... ნიციდან წუხელ საღამოს ჩამოვედი... ჩემთან ვერ წავალთ.

უკანასკნელი სიტყვები უცებ ვერ გავიგე. მხოლოდ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ამ კაცმა მე... ვახუად მიმიღო, ისეთ ქალად, რომლის მსგავსნი ღამღამობით სამორინეს წინ დაეთრევიან, რათა იღბლიან მოთამაშეს ან მთვრალს ფული გამოსცინცლონ. ბოლოს და ბოლოს სხვა რა შეეძლო ეფიქრა - რადგან მხოლოდ ახლა, როცა ყველაფერი გაიმბეთ, ვგრძნობ ჩემი მდგომარეობის დაუჯერებლობასა და ფანტასტიკურობას, - სხვა რა უნდა ეფიქრა, როდესაც უყოყმანოდ მერხს მოვაგლიჯე და თან წავიყვანე, განა ჩემი საქციელი დარბაისელ ქალს შეეფერებოდა?

მაგრამ ეს აზრი უცებ არ მომსვლია; მხოლოდ შემდეგში, შეიძლება, საკმაოდ გვიან მივხვდი, რომ ჩემზე საშინლად ყალბი წარმოდგენა უნდა ჰქონოდა. სხვაფრივ განა წარმოვთქვამდი სიტყვებს, რომლებიც დაბნეულობას უფრო განუმტკიცებდნენ. მე ვუთხარი: - მაშინ საჭიროა სასტუმროში ოთახი დაიქირაოთ. იქ დარჩენა არ შეიძლება. თქვენთვის აუცილებელია სადმე თავი შეაფაროთ.

აქ შევამჩნიე ჩემი შეცდომა, რადგან ვაცი არც კი მობრუნებულა, ისე წარმოთქვა დამცინავი გამომეტყველებით: - არა, ოთახი აღარ მჭირდება, აღარაფერი მჭირდება. ნუ ჩალიჩობ, ჩემგან ვერაფერს მიიღებ. გეტყობა, მისამართი შეგშლია, ფული არა მაქვს.

ეს იყო ნათქვამი საშინელი გულგრილობით. ვაცი, საბოლოოდ გაპარტახებული, კედელს ისე უსიცოცხლოდ მიჰყრდნობოდა, რომ ვერც კი მოვასწარი ჩვეული, სულელური წყენა გამომეხატა. კვლავ პირვანდელი გრძნობა დამეუფლა, როდესაც დარბაზი ბარბაცით დატოვა, გრძნობა, რომელსაც უცვლელად განვიცდიდი მთელი ამ უჩვეულო საათის განმავლობაში: ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე ვაცი, რომელიც სუნთქავს, სიკვდილის წინაშე დგას და მე მოვალე ვარ ვიხსნა იგი! უფრო ახლოს მივედი.

- ფულზე ნუ შენუხდებით, წამოდით. აქ თქვენი დარჩენა შეუძლებელია. მე მოგაწყობთ. ნურაფერზე ფიქრობთ. ახლავე წამომყევით.

თავი მოაბრუნა, - წვიმა ძალუმად როკავდა ირგვლივ, საწვიმარი მილიდან ჩვენს ფეხებამდე წყლის ნაკადმა მოაღწია; ვიგრძენი, პირველად როგორ ცდილობდა ბნელში ჩემი სახის გარჩევას. ეტყობა, ნელ-ნელა ერკვეოდა საღათას ძილიდან.

- ჰო, კარგი, როგორც გინდა, - დამითმო მან. - ჩემთვის სულ ერთია, წავიდეთ.

ქოლგა გავშალე, უცნობი მომიახლოვდა და ხელი გამიყარა. მამაკაცის ეს მოულოდნელი სიახლოვე არ მესიამოვნა, თითქმის შემაძრწუნა კიდევ, რაღაც უგუნურმა შიშმა შემიპყრო. მაგრამ გამბედაობა არე მეყო, მისთვის რაიმე ამეკრძალა. ამ ვაცისათვის ახლა ხელი რომ მეკრა, უფსკრულში გადაიჩეხებოდა, მე კი მისი ხსნა რარიგ მინდოდა.

სამორინეს მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით. მხოლოდ აქ მომივიდა აზრად: როგორღა მოვექცე შემდეგ? ყველაზე უკეთესია, - სწრაფად გადავწყვიტე, - წავიყვანო რომელიმე სასტუმროში, ხელში ფული ჩავუდო, რომ ღამის გათევა შეძლოს, ხვალ კი შინისკენ გაემგზავროს. რა იქნებოდა შემდეგ, არც კი ვფიქრობდი. სამორინესთან წამდაუნუმ დახურული ეტლი ჩერდებოდა, ერთ-ერთ მათგანს მოვუხმე და შიგ ჩავსხედით. როცა მეეტლე შემეკითხა, საით წავიდეთ, პირველ ნუთში არც ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ აქვე მოვისაზრე, რომ ამ ვაცს ხეირიან სასტუმროში არ მიიღებდნენ - ისეთი საცოდავი შეხედულება ჰქონდა. ასეთ საქმეში იმდენად გამოუცდელი ვიყავი, რომ ორჯოფული მდგომარეობის მიუხედავად მეეტლეს ვუბრძანე: რომელიმე უბრალო სასტუმროში-მეთქი.

დასველებულმა მეეტლემ გულგრილად გარეკა ცხენები. ჩემი მეზობელი კრინტს არ ძრავდა, თვლები გრიალებდნენ, წვიმა ძალუმად როკავდა დახურული ეტლის მინებზე; ამ გაუნათებელ, ჩაბნელებულ, კუბოს მსგავს ყუთში ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მიცვალებულთან ერთად ვმგზავრობდი. ვცდილობდი გონება მომეკრიბა, მეპოვნა რაიმე სიტყვა, ოღონდ დამერღვია ამ მდუმარე მგზავრობის გულისმომკვლელი სიჩუმე, მაგრამ თავში არაფერი მომდიოდა, რამდენიმე ნუთის შემდეგ ეტლი გაჩერდა. პირველი მე ჩამოვედი და ვიდრე ჩემი თანამგზავრი ახალგაშობილებულსავით ეტლის კარს ხურავდა, მეეტლეს ანგარიში გავუსწორე. პატარა, უცნობი სასტუმროს სადარბაზო კართან აღმოვჩნდი: მინის მცირე ფარდული გვიცავდა, გულის გამწყალელებლად რომ უშენდა თვალშეუდგამ წყვდიადში.

უცნობი, რომელსაც ძალა არ შესწევდა თავისი სიმძიმის დაეძლია, უნებლიეთ კედელს მიეყრდნო; წყალი ტანსაცმლიდან და ქუდიდან ისე სწვეთავდა, თითქოს ეს-ეს არის მდინარიდან ამოათრიესო. მის ფეხებთან გაჩნდა ჩამონადენი წყლის გუბე. არც კი ცდილობდა წყლის ჩამობერტყვას, ქუდის მოხდას, რომლიდანაც სახებზე ნაკადული განუწყვეტლივ ჩამოსდიოდა. მისთვის სულ ერთი იყო. ენა ვერ იტყვის, რაოდენ შემაძრწუნა ასეთმა გაუგონარმა დაძაბულობამ.



მაგრამ საჭირო იყო მემოქმედა. ხელი ჩანთაში ჩავყავი.

- აი, ასი ფრანკი, - ვუთხარი, - დაიქირავეთ ოთახი, დილით კი უკან, ნიცაში გაემგზავრეთ.

კაცმა გაკვირვებით შემომხედა.

შევამჩნიე მისი მერყეობა და კვლავ დაჟინებით დავეუნყე მტკიცება: - თვალყურს გადევნებდით სამორინეში, ვიცი, ყველაფერი წააგეთ, მეშინია, სისულელის ჩადენას აპირებთ. ნუ გრცხვენიათ დახმარების მიღება, აჰა, გამომართვით.

მაგრამ მოულოდნელად ჩემი ხელი მოიშორა.

- შენ მართლაც კეთილი ქალი ყოფილხარ, - მომიგო. - მაგრამ რად გინდა, ტყუილად ფულს რომ აფუჭებ, შველით სულ ერთია ვეღარ მიშველი. დავიძინებ ამაღამ თუ არა, - სულ ერთია, ხვალ უკვე ყველაფერს ბოლო მოეღება. უკვე აღარაფერი მეშველება.

- არა, უთუოდ უნდა აიღოთ, - ჩავაცვივდი. - ხვალ ასე აღარ იმსჯელებთ. ახლა კი მაღლა ადით და კარგად გამოიძინეთ. დღისით ყველაფერი სხვაგვარად მოგეჩვენებათ.

ფული რომ გავუნოდე, ხელი თითქმის თავხედურად მოიშორა.

- თავი დამანებეთ, - კვლავ ყრუდ წარმოთქვა, - აზრი არა აქვს. უკეთესია ეს ქუჩაში ჩავიდინო, ვიდრე აქ ხალხს ოთახი სისხლით გავუთხუპნო. ასი ფრანკი ვერ მიხსნის. ათასიც ვერაფერს მიშველის. ორი-სამი ფრანკიც რომ მექონდეს, ხვალვე კვლავ სამორინეში წავალ და ვიდრე ყველას არ წავაგებ, არ მოვეშვები. რაღა აზრი აქვს თავიდან დავინყო? კმარა.

ვერ წამოიდგნეთ, როგორ იჭრებოდა სულის სიღრმეში ეს ყრუ ხმა. მაგრამ აბა, იფიქრეთ, თქვენ გვერდით დგას, სუნთქავს, ცოცხლობს ახალგაზრდა, მშვენიერი ვაჟკაცი, და თქვენ იცით, რომ თუ ყველაფერს არ იღონებთ, ეს მოაზროვნე, მოლაპარაკე, მფეთქავი სიჭაბუკე ორი საათის შემდეგ უსულო სხეული იქნება.

და მე დაუდგრომელი სურვილი დამებადა დამედლია ეს უაზრო წინააღმდეგობა. მკლავში ხელი ჩავჭიდე.

- თავი დაანებეთ სისულელეს. ახლავე ბევით ადით და ოთახი დაიქირავეთ, ხვალ დილით კი თვითონ წაგიყვანთ სადგურზე. უნდა გაემგზავროთ აქედან, მანამდის არ მოვისვენებ, სანამ ბილეთით ხელში მატარებელში არ გნახავთ. სიცოცხლეს როგორ უნდა გამოეთხოვოთ რამდენიმე ასი ან ათასი ფრანკის წაგების გამო? ეს სიმხდალეა, სულელური ისტერიკაა, რომელიც გაბოროტებითა და გაღიზიანებით არის გამოწვეული. ხვალ თვითონვე აღიარებთ ჩემი სიტყვების სიმართლეს.

- ხვალ, - გაიმეორა მან რაღაც უცნაური, ნახევრად ნაღვლიანი, ნახევრად ირონიული ტონით. - ხვალ, ეჰ, რომ იცოდე, სად ვიქნები ხვალ! მე თვითონ რომ ვიცოდე, ეს ჩემთვისაც საინტერესოა. არა, წადი შინ, ჩემო გოგონავ, ნუ ნუხდები და ფულს ტყუილად ნუ ფლანგავ!

მე კი არ ვთმობდი. ეს იყო რაღაც დამთხვეულობა, რაღაც სიშმაგე. მკლავში ვწვდი და ხელში ასიგნაციები ჩავუდე.

- ფული ახლავე აიღეთ და ბევით ადით. - ვთქვი და მტკიცე ნაბიჯით ბარს მივუახლოვდი. - ასე, ბარი უკვე ჩამოვრეკე, ახლავე კარისკაცი მოვა, ახვალთ და დასაძინებლად დანვებით. ხვალ ცხრა საათზე სასტუმროს წინ გელოდებით და სადგურზე წაგიყვანთ. არაფერზე აღარ იფიქროთ, ყველაფერს მოგიხერხებთ, სახლამდე რომ მიაღწიოთ. ახლა კი დანეჭით, თქვენთვის გამოიძინებაა საჭირო.

სწორედ ამ მომენტში გასაღებმა გაიჩხაკუნა და კარისკაცმა კარი გააღო.

- წამოდით, - უცებ წარმოთქვა ჩემმა თანამგზავრმა მკვახე, უღიმღამო, გაბოროტებული ტონით, და მე ვიგრძენი, როგორ მარწუხებივით ჩაეჭდო მისი რკინასავით მაგარი თითები ჩემს მაჯას. შევკრთი... უგუნურმა შიშმა შემიპყრო. თითქოს დამბლა დამეცაო, დავყრუვდი, გავითანგე, აღარაფერს ვგრძნობდი... მინდოდა წინააღმდეგობა გამენია, გავცეოდი,

მაგრამ ჩემი ნებისყოფა თითქოს მიჯაჭვესო. და მე... უთუოდ მიხვდებით... მე... ხომ არ დავუნყებდი ამ უცხო ადამიანს ბლლარძენს მეკარესთან, რომელიც იდგა და მოუთმენლად ელოდა ჩემს შესვლას. და აი... უეცრად სასტუმროში მოვხვდი. მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ სიტყვა ყელში გამეჩხირა, უცნობს ჩემი ხელი მტკიცედ ეჭირა. ბუნდოვნად ვგრძნობდი-კიბებე ავყავდი...

და ია, უცებ პირისპირ აღმოვჩნდი ამ უცხო ვაცთან უცხო ოთახში, სასტუმროში, რომლის სახელი დღესაც არ ვიცი.

მისის ვ. ხელახლა დადუმდა და მოულოდნელად წამოდგა. ეტყობოდა, ხმა აღარ ემორჩილებოდა. ფანჯარასთან მივიდა, რამდენსამე წუთს უსიტყვოდ ქუჩაში იცქირებოდა ან, შეიძლება, ისე, უბრალოდ იდგა შუბლით ცივ მინას მიყრდნობილი. ვერ გავბედე შემეხედა, ისე მტანჯველი იყო მოხუცი ქალის ყურება ასეთი აღელვების წუთებში. ვიჭევი ჩუმად, კითხვებით არ ვანუხებდი, კრინტს არ ვძრავდი და ვუცდიდი. ბოლოს ფეხაკრეფით მომიახლოვდა და ჩემს პირდაპირ დაჯდა.

- მამ ასე, ყველაზე ძნელი უკვე გიამბეთ. იმედი მაქვს, დამიჯერებთ, თუ გეტყვით და დავიფიცავ რაც კი ჩემთვის წმიდათა წმიდაა - ჩემს პატიოსნებას, ჩემს ბავშვებს, - რომ იმ წუთამდე თავშიც კი არ მომსვლია ამ... ამ უცხო ვაცთან სიახლოვე, რომ ჩემდა უნებლიეთ, ჩემი გონებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, აღმოვჩნდი ამ მდგომარეობაში, როგორც მახეში, რომელიც ჩემი ცხოვრების გზაზე იყო დაგებული... დავიფიცე, გულწრფელი ვიყო თქვენთან და საკუთარ თავთანა, ამიტომ ვიმეორებ: ამ ტრაგიკულ ავანტიურაში მოვხვდი მხოლოდ ადამიანისათვის დახმარების სტიქიური მისწრაფების გამო, და არა იმისთვის, რომ ჩემს სხეულს რაიმე გრძნობა, სურვილი ან განწყობილება ამოძრავებდა.

რაც იმ ღამეს ჩვენს ოთახში მოხდა, ნუ მაამბობინებთ, ყველაფერი მახსოვს და არაფრის დავინწყება არ მინდა. იმ ღამეს ვებრძოდი მამაკაცს მისი სიცოცხლისათვის. ეს იყო ჭეშმარიტად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს უცხო, უკვე ნახევრად დაღუპული ადამიანი წყალნალეულივით ხავსს ეჭიდებოდა. იგი ჩამებლაუჭა, ვინაიდან ხახადაღებული უფსკრულის პირას აღმოჩნდა.

მე კი ყოველ ღონეს ვხმარობდი მის გადასარჩენად. ასეთ წუთებს ადამიანი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ განიცდის, და, ისიც ათასში ერთი. თუ არა ეს საშინელი შემთხვევა, ვერასოდეს შევიტყობდი, რა დაუდგრომლობით, რა თავდაჭერილი სიხარბით ეჭიდება დაკარგული ადამიანი სიცოცხლის ნიშანწყალს. ყველაფერი დემონური ჩემთვის უცხო იყო, და ვერც კი წარმომედგინა, რა დიდი და ფანტასტიკური ძალით გადაეჭდობა ხოლმე ერთმანეთს სიცოცხლის ერთი სულთქმის განმალობაში ყინვა და მხურვალეობა, სიცოცხლე და სიკვდილი, ბეიმი და სასონარკვეთილება. ეს ღამე ისე იყო აღსავსე ბრძოლითა და სიტყვებით, ვნებით, რისხვითა და სიძულვილით, მუდარის ცრემლითა და სიმთვრალით, რომ იგი ათეულ საუკუნედ მომეჩვენა. და ჩვენ, ერთმანეთზე გადაჭდობილი ორი ადამიანი, რომელიც ამ ღამის უფსკრულში გადავიჩხეთ, ერთი - დაუდგრომლად, მეორე - ანგარიშშიუცემლად, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლიდან გამოვედით სრულიად გარდაქმნილნი, ახალი ზრახვებით, ახალი გრძნობებით.

მაგრამ ამბაზე არ მსურს ვილაპარაკო. არც ძალმიძს და არც შევუდგები რაიმეს აღწერას. მინდოდა თქვენთვის მომეთხრო მხოლოდ გამოღვიძების შემდეგ განცდილი პირველი წუთების ამბავი.

ტყვიასავით მძიმე ძილქუშისაგან უეცრად გამოვერკვიე, ისეთ თვალშეუდგამ წყვილადს დავაღწიე თავი, რაც მანამდე არასოდეს მინახავს. დიდხანს ვერ ვახერხებდი თვალის გახელას, და პირველი, რაც დავინახე, ეს იყო უცხო ჯერი ჩემს თავზე, შემდეგ უცხო, საზიზღარი ოთახის მოხაზულობა, რომელშიც აღარ მახსოვს როგორ მოვხვდი.

პირველად თავს ვარწმუნებდი, სიზმარია-მეთქი, მეტად მსუბუქი, მეტად ნათელი სიზმარი, რომელიც იმ სულქმეხუთავი კოშმარის შემდეგ ვიხილე. მაგრამ ფანჯრებში მზე თვალისმომჭრელად ანათებდა. დილა იყო. ქვევიდან ქუჩის ხმაური, თვალეების გრუხუნი, ტრამვაის ბარის წვარუნი და ხალხის ძახილი ისმოდა, რომ არ მეძინა, ეს ყველაფერი ცხადად ხდებოდა. ანაზღად წამოვიჩიე, ვცდილობდი ყოველივეს გახსენებას და... როცა შემოვბრუნდი, დავინახე - ვერასოდეს გადმოგცემთ ამ წუთების საშინელებას - უცხო

მამაკაცი, რომელსაც ფართო სარეცელზე ჩემს გვედით ეძინა... უცხო, სახვებით უცხო, ნახევრად შიშველი მამაკაცი.

არა, ამ საშინელების აღწერაც კი არ ძალმიძს. ღონემიხდილი ისევ ბურგზე დავეცი. მაგრამ ეს არ იყო არც გულისწასვლა, არც გრძნობის დაკარგვა, პირიქით, ჩემთვის ყველაფერი მეყსეულად ცხადი გახდა, თუმცა ამის ახსნას მაინც ვერ ვახერხებდი; მხოლოდ ერთი მინდოდა - მოვმკვდარიყავი სირცხვილისაგან. წარმოდგენაც კი მიმიძიმს, თუ როგორ აღმოვჩნდი რაღაც საეჭვო ჯურღმულში, უცხო სარეცელში უცნობი მამაკაცის გვერდით. გარკვევით მახსოვს, როგორ შემიჩერდა გულისცემა; სუნთქვას ვიკავებდი, თითქოს ამით შემეძლო სიცოცხლის შეწყვეტა და ცნობიერების ჩახშობა, ამ ნათელი, საოცრად ნათელი ცნობიერებისა, რომელიც ყველაფერს ედებოდა, მაგრამ არაფრის შეცნობა არ შეეძლო.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვინეჭი, - ალბათ, ასე მიცვალებულები წვანან კუბოში; ვიცი მხოლოდ, რომ თვალი დავხუჭე, ღმერთს ვევედრებოდი, საშველად ვუხმობდი ზეციურ ძალებს, ვლოცულობდი, რომ ყველაფერი ეს მართალი არ გამომდგარიყო. მაგრამ გამახვილებული გრძნობა არ მატყუებდა, მეზობელ ოთახში ხალხის ხმა და წყლის შხაპუნი, ტალანში კი ნაბიჯები ისმოდა, და ეს ხმაური მეუბნებოდა: ყველაფერი სინამდვილეა, სასტიკი, უღმობელი სინამდვილე.

რამდენ ხანს გაგრძელდა ამგვარი კომმარული მდგომარეობა, ძნელი სათქმელია: ასეთ წუთებს სულ სხვა ხანგრძლივობა აქვს, ვიდრე დროის მშვიდ მონაკვეთს. მაგრამ უცებ სხვაგვარმა შიშმა შემიპყრო, სხეულში დამიარა და სისხლი გამიყინა. ერთიჯ ვნახოთ და, ამ ვაცს, ვისი სახელიც კი არ ვიცოდი, გაელვიდა და გამომლაპარაკებოდა! მყისვე მივხვდი, მხოლოდ ერთი გზა მრჩებოდა: ტანთ ჩამეცვა და გავქცეულიყავი, სანამ ჯერ არ გამოღვიძებოდა, არასოდეს თვალთ არ დავნახვებოდი, აღარ დავლაპარაკებოდი. თავს უნდა ვუშველო, ვიდრე გვიან არ არის. შორს, შორს აქედან, უნდა დავუბრუნდე ჩემს საკუთარ ცხოვრებას, ჩემს სასტუმროს და პირველივე მატარებლით განვმორდე ამ წყეულ ადგილს, ამ მხარეს, აღარასოდეს შევხვდე მას, არ მყავდე მონწენი, ბრალმდებელი და თანამზრახველი. ამ აზრმა ფრთები შემასხა: ფრთხილად, ქურდულად, თითის წვერებზე (ხმაური რომ არ ამეტეხა საწოლიდან გავემართე ვაბის ასაღებად. წარმოუდგენელი სიფრთხილით გადავიცვი ვაბა, შიშით ვკანკალებდი - ხომ შეიძლებოდა გაღვიძებოდა. და აი, უკვე მზადა ვარ. მხოლოდ ჩემი ქუდი ეგდო იატაკზე, საწოლის მეორე მხარეს. და როდესაც ფეხაკრეფით მივიპარებოდი მის ასაღებად, სხვაფრივ არ შემეძლო მოვქცეულიყავი, ერთხელ კიდევ უნდა შემეხედა იმ უცხო სახისათვის, რომელიც ჩემს ცხოვრებას ისე დაატყდა, როგორც ქვა, ჩამოვარდნილი ლავგარდანიდან; მხოლოდ ერთხელ მინდოდა თვალი მომეკრა მისთვის... მაგრამ... ჰოი, საკვირველებავ... ეს ახლაგაზრდა ვაცი, რომელსაც ახლა ეძინა, ნამდვილად უცხო იყო ჩემთვის; ერთი შეხედვით მისი გუშინდელი სახეც ვერ ვიცანი. თითქოს მთლიანად გასწორებოდა სასიკვდილოდ განწირული ადამიანის კრუნჩხვისაგან მოქცეული, დაღმეჭილი, დაძაბული ნაკვთები, - ეს იყო სულ სხვა, ბავშვური სახე, წმინდა და ნათელი. გუშინდელ მოკუმულ ბაგეთმეოცნების ღიმილი დასთამამებდა, ქერა კულულები შუბლზე გადმოჰყროდა და მშვიდად, თანაბრად უღელავდა მკერდი.

გახსოვს, გეუბნებოდით: მანამდე არასოდეს მენახა ადამიანის ასეთი აღვირახსნილი, დანაშაულებრივი სიხარბე, როგორსაც ეს უცნობი იჩენდა სათამაშო მაგიდასთან-მეთქი. მაგრამ ასევე არასოდეს მენახა ძილში სინმინდის ანგელოსური ნათელით გაცისკროვნებული ბავშვიც კი, არ მენახა ასეთი გასხივოსნება, ასეთი ჭეშმარიტად ნეტარი სიმშვიდე. ამ სახეში გამოკრთოდა უნაზესი გრძნობები - ამჯერად თავის დაღწევა ყოველგვარი საზრუნავისაგან, ღელვისაგან, თავისუფლება, გადარჩენა.

ამ მოულოდნელ სანახაობაზე თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მომგლიჯესო, შიში გადამეყარა და მხნეობა შემემატა. ყველაფერმა, რაც მანამდე საზარელი და გაუგებარი ჩანდა ჩემთვის, უცებ აზრი და მნიშვნელობა შეიძინა, მიხაროდა, სიამაყეს ვგრძნობდი, რომ ვფიქრობდი, რომ უკეთუ ჩემი თავი მსხვერპლად არ შემეწირა, ამ ახალგაზრდა, ფაქიზ, მშვენიერ ვაჟკაცს, რომელიც ახლა ჩემ წინაშე მონყვეტილი ყვავილივით მშვიდად იწვა, იპოვნიდნენ სადმე ქარაფზე გადაჩეხილს, დაჩეჩილი, დასისხლიანებული სახით, უსიცოცხლო, ველურად დაჭყეტილი თვალებით. მე იგი ვიხსენი. ახლა უკვე გადარჩენილია. დედობრივი გრძნობით (სხვანაირად არ შემიძლია გამოვთქვა) ვუცქერდი

მძინარე მამაკაცს, რომელიც კვლავ ცხოვრებას დაუბრუნე, თითქოს ხელახლა ვშობეო, მაგრამ უფრო მეტი ტკივილით, ვიდრე საკუთარი შვილები.

შეიძლება ეს სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ გათხუპნულ, საძაგელ ოთახში, ამ ბედასლ, ჭუჭყიან სასტუმროში ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეკლესიაში ვყოფილიყავი, - ბედნიერებისა და სიწმინდის გრძნობა. ჩემი ცხოვრების ყველაზე საშინელმა წუთებმა შვეს სხვა, ყველაზე მშვენიერი წუთები, და მათ გაიმარჯვეს კიდევ.

არ ვიცი, რამეს წამოვედე ოთახში თუ უნებლიეთ აღმომხდა სიტყვა. არ ვიცი. მაგრამ მძინარემ უცებ თვალები გაახილა. შევკრთი, უკან დავიხიე. ოთახს გაკვირვებით დაუნყო თვალიერება, ისე როგორც ერთი წუთის წინათ თვითონ ვათვალიერებდი. ჩანდა, ვერაფრის გახსენებას ვერ ახერხებდა, თვალს გაოგნებული აცეცებდა უცხო ოთახში, შემდეგ კი გაკვირვებული შემომამტერდა. მაგრამ სიტყვის ამოღებაც ვერ მოასწრო, როცა უკვე გამოვერკვიე. - არა, არ ვათქმევინებ არც ერთ სიტყვას, უფლებას არ მივცემ რამე შემეკითხოს, ჩემთან მოურიდებლობა გამოიჩინოს, ახსნა-განმარტება მომცეს, ილაპარაკოს იმაზე, რაც გუშინ და წუხელ მოხდა.

- უნდა წავიდე, - სწრაფად წარმოვთქვი. - დარჩით აქ და ჩაიცვით. თორმეტ საათზე სამორინეს შესასვლელში შევხვდებით. დანარჩენზე იქ მოვიფიქრებ.

ესა ვთქვი და პასუხის მოუსმენლად გავიპარე, რომ ეს ოთახი თვალთ აღარ მეხილა; უკანმოუხედავად გავრბოდი იმ სახლიდან, რომლის სახელი არ ვიცოდი, როგორც არ ვიცოდი იმ კაცის სახელი, ვისთანაც ეს ღამე გავატარე.

მისის კ-მ ერთი წუთით შეწყვიტა თხრობა. მის ხმაში აღარ იგრძნობოდა წინანდელი დაძაბულობა და ტანჯვა. როგორც მძიმედ დატვირთული ფორანი ადვილად დაექანება დაღმართზე, ასევე უხვ ნაკადულად ჩქეფდა მისი ფრთაშესხმული საუბარი.

სასტუმროსკენ გავრბოდი დილის მზის სხივებით განათებულ ქუჩებზე, რომლებიც წვიმას ისე გაერეცხა და შეეცვალა, როგორც ჩემი ნაწამები სული შეიცვალა. გაიხსენეთ, რაც მაშინ გითხარით: ქმრის სიკვდილის შემდეგ ცხოვრებაზე უარი ვთქვი, შვილებს აღარ ვჭირდებოდი, სიცოცხლე ჩემთვის მძიმე ტვირთი იყო, ხოლო ყოველგვარი არსებობა გაურკვეველი მიზნის გარეშე უაზრობაა. ახლა პირველად ჩემ წინაშე დაისვა ამოცანა: ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით ადამიანი გადავარჩინე. რჩებოდა მხოლოდ მცირედი წინააღმდეგობის დაძლევა და მიზანი მიღწეული მექნებოდა. ჰო, იმას ვამბობდი, ჩემს სასტუმროსთან მივირბინე; კარისკაცმა გაოცებით შემომხედა: შინ ხომ დილის ცხრაზე დავბრუნდი. არ მანუხებდა არც სირცხვილი, არც ჯავრი. სიცოცხლის სურვილმა, იმის შეგნებამ, რომ ახლა მაინც ვჭირდებოდი ვინმეს, სისხლი საამოდ ამიჩქროლა.

ჩემს ოთახში სწრაფად გამოვიცვალე ტანსაცმელი, უნებლიეთ (ეს მხოლოდ შემდეგ შევამჩნიე) ძაძა გავიხადე, მის ნაცვლად ღია ფერის კაბა ჩავიცვი, ფულის გამოსატანად ბანკში შევიარე, შემდეგ სადგურისკენ გავიხიე, რომ გამეგო, როდის გადიოდა მატარებელი; ზოგიერთი საქმეც გავაკეთე. მრჩებოდა მხოლოდ გამგზავრება მომეგვარებინა და მეხსნა ადამიანის სიცოცხლე, რის შესრულებაც ბედმა მარგუნა.

თქმა არ უნდა, მასთან შეხვედრა არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან ყველაფერი გუშინ წყვდიადში, დელგმაში, გრიგალში მოხდა, სადაც ერთმანეთს ეჯახება ჩანჩქერიდან გადმოსროლილი ორი ქვა. სახით ერთმანეთს ძლივს ვცნობდით, დარწმუნებულნიც არ ვიყავი, რომ ეს კაცი ჩემს ცნობას მოახერხებდა. გუშინ მოულოდნელი შემთხვევა მოხდა, დათრობა, ორი თავგზააბნეული ადამიანის გადარევა, დღეს კი მასთან პირდაპირ შეხვედრა მომელოდა, რადგან ახლა, დღის ბრწყინვალე, შეუდარებელ სინათლეში უნდა წარვმდგარიყავი მის წინაშე ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვიყავი, - ცოცხალ ქალად.

მაგრამ ეს უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე მეგონა. დანიშნულ დროს სამორინესთან მისვლა ვერც კი მოვასწარი, როდესაც ახლგაზრდა კაცი მერხიდან წამოდგა და ჩემკენ გამოემურა. მის დაბნეულობაში, მის მჭევრმეტყველურ მოძრაობაში იყო რაღაც ბავშვური, უშუალო და ბედნიერი. ჩემთან მოივრბინა, თვალები მადლობისა და მოკრძალების გრძნობით უბრწყინავდა, და ეს თვალები მორჩილად განაბა, როდესაც ჩემი დაბნეულობა შენიშნა. ადამიანებში მადლიერებას ხომ ასე იშვიათად შეხვდები, და სწორედ ყველაზე

მადლიერნი მის გამოსათქმელად სიტყვას ვერ პოულობენ; შემკრთალნი დუმილს არჩევენ, რცხვენიათ და ხშირად ღობე-ყორეს ედებიან, რითაც თავიანთი გრძნობის დაფარვას ცდილობენ. მაგრამ ეს ადამიანი, რომელსაც ღმერთმა საიდუმლოებით აღსავსე მოქანდაკის დარად ასეთი მოქნილობა შთაბერა, მთელი თავისი არსებით კეთილშობილების განსახიერება იყო. იგი ჩემს ხელზე დაიხარა, მოწინებით, ბავშვურად თაყვანი მცა, ბაგეებით ჩემი თითის წვერებს ოდნავ შეეხო, ერთ ნუთს ასე გახევდა, შემდეგ გვერდზე გადგა, აღელვებით შემომხედა და ჯანმრთელობის ამბავი მკითხა. მის კითხვებში ისეთი მორიდება იგრძნობოდა, რომ შიში სულ გამეფანტა. მიდამოს ისეთი ნათელი მოეფინა, თითქოს მასში, როგორც სარკეში, ღრუბელგადაყრილი გრძნობების ანარეკლი გამოჩნდაო: ზღვა, ეგზომ მძფოთვარე გუშინ, ახლა სრულიად მშვიდი და წყნარი იყო, მოლივლივე წყლის ქვეშ ყოველი კენჭი თეთრად კიაფობდა; სამორინე, ეს ჯოჯობეთური ბუნაგი, მზეზე ელვარებდა, და მისი მავრიტანული კონტურები მოწმენდილი ცის ფონზე მკაფიოდ იხატებოდა; ფარდული კი, რომლის სახეჩქვეშ გუშინ თავსხმამ შეგვყარა, ყვავილების სავაჭროდ იქცა. იქ უწესრიგოდ ეყარა თეთრი, წითელი, გულხატულა ყვავილების კონები და მუქი მწვანე მცენარეები, რასაც ჭრელკაბიანი გოგონა ყიდდა.

ჭაბუკი სადილზე პატარა რესტორანში დავპატიჟე. მიაშბო თავისი ტრაგიკული თავგადასავალი. ამან სავსებით დაადასტურა ჩემი პირველი შთაბეჭდილება, როდესაც მწვანე მაგიდაზე დავინახე ეს მთრთოლვარე, მოცახცახე ხელები.

წარმოშობით გალიციელი იყო, პოლონელების ძველი არისტოკრატიული ოჯახიდან. მშობლები თავიანთ ვაჟს დიპლომატად ამზადებდნენ. სწავლობდა ვენაში. ერთი თვის წინათ წარმატებით ჩააბარა პირველი გამოცდა. ეს დღე რომ საზეიმოდ აღენიშნათ, მისმა ბიძამ, ვისთანაც იგი ცხოვრობდა, გენერალური შტაბის ოფიცერმა, პრაქტეოში წაიყვანა და ისინი ერთად დაესწრნენ დოღს. ბიძას თამაშში ბედმა გაუღიმა, სამჯერ ბედიზედ მოიგო; ივანშემეს ბრწყინვალე რესტორანში და ბანკნოტების მოზრდილი დასტა დატოვეს. მეორე დღეს, წარმატებით ჩაბარებული გამოცდის ჯილდოდ, ახალგაზრდა დიპლომატმა მამისაგან ერთი თვის ჯამაგირის ოდენობის თანხა მიიღო. ორი დღის წინათ ეს ფული ძალზე დიდად მოეჩვენებოდა, მაგრამ ახლა, იოლი მოგების შემდეგ, მას გულგრილად შეხვდა, არაფრად ჩააგდო. ნასადილევს კვლავ დოღზე გაემგზავრა, უანგარიშოდ ჩადიოდა ფულს, და მისი ბედნიერება, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უბედურება ის იყო, რომ უკანასკნელი შემოვლის შემდეგ პრაქტერი გასამკვეცებული თანხით დატოვა. და ია, თამაშმა გაიტაცა ხან დოღზე, ხან კაფეებსა და კლუბებში, ეს გატაცება ნთქავდა მის დროს, მეცადინეობას, ნერვებსა და ყველაზე მეტად კი ფულს. სხვა ვერაფერზე ვეღარ ფიქრობდა, ძილი გაუქრა, მთავარი კი ის იყო, რომ თავის დაჭერა აღარ შეეძლო; ერთ ღამეს, კლუბიდან შინ რომ დაბრუნდა, სადაც მთელი ფული წააგო, ტანსაცმლის გახდის დროს ჯიბეში ჩარჩენილი კიდევ ერთი დავინწყებული ასიგნაცია იპოვა. თავი ვერ შეიკავა, კვლავ ტანთ ჩაიცვა და იქამდის დაეხეტებოდა ქუჩაში, სანამ რომელიღაც კაფეში დომინოს ორ თუ სამ მოთამაშეს არ შეხვდა და მათთან დილაამდე არ დაჰყო. ერთხელ გათხოვილმა დამ იხსნა, მევახშეებს ვალი გადაუხადა, რომლებიც ცნობილი არისტოკრატიული ოჯახის მემკვიდრეს ხალისით აძლევნენ სესხს. ბედმა ხელახლა გაუღიმა, შემდეგ კი კვლავ ბურგი შეაქცია და რაც მეტს აგებდა, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა საბოლოო, მხსნელი მოგება, ამას ხომ დაჟინებით მოითხოვდნენ ვადაგადასული თამასუქები და შეუსრულებელი ვალდებულებები. თავისი საათი, ტანისამოსი უკვე დიდი ხნის დაგირავებული ჰქონდა. ბოლოს კი მოხდა ყველაზე საშინელი ამბავი: მოხუც მამიდას კარადიდან მოჰპარა ორი დიდი მარგალიტის აბზინდა, რომლებსაც იგი იშვიათად ატარებდა. ერთი დააგირავა, დიდი ფული აიღო, ეს თანხა კი იმავე საღამოს თამაშში გააორკვეა. იმის ნაცვლად, რომ აბზინდა დაეხსნა, მთელი ფული გაითამაშა და წააგო. მისი გამგზავრების მომენტში ქურდობის ამბავი ჯერ არ გაეგოთ. მაშინ მეორე აბზინდაც დააგირავა და უეცარი შთაგონების შედეგად მატარებლით მონტე კარლოში ამოჰყო თავი, რათა სანუკვარი სიმდიდრე მოეპოვებინა. მალე გაყიდა თავისი ჩემოდანი, ტანსაცმელი, ქოლგა, აღარაფერი დარჩა, ოთხი ვაზნით გატენილი დამბაჩისა და პატიოსანი თვლებით მოჭედილი პატარა ძვირფასი ჯვარცმის გარდა. ეს ჯვარი აჩუქა მისმა ნათლიამ, თავადის ცოლმა ხ-მ. ამიტომაც მასთან განშორება არ უნდოდა; მაგრამ ისიც ნასადილევს ხუთას ფრანკად გაყიდა, რომ საღამოს უკანასკნელად განეცადა სამკვდრო სასიცოცხლო თამაშის მწველი სიამე.

ამას ყველაფერს კაცი მომხიბვლელი აღტაცებით მიამბობდა, რაც ეგზომ დამახასიათებელი იყო მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის. და მეც, აღელვებული, ხალისით ვუსმენდი; არ ვფიქრობდი აღშფოთება გამომეხატა იმის გამო, რომ ჩემ წინ მჯდომარე კაცი სინამდვილეში ქურდი იყო. გუშინ ჩემთვის, უმნიშვნელო წარსულის მქონე ქალისათვის, რომელიც მასთან ურთიერთობაში წესიერების სასტიკ დაცვას მოითხოვდა, ვინმეს რომ ეთქვა, ინტიმურ საუბარს გავმართავდი უცნობთან, რომელიც შვილად მეკუთვნოდა და ამასთან მარგალიტის აბზინდებიც მოიპარა - მას შემწილიად ჩავთვლიდი. მაგრამ ამ ჭაბუკის მოთხრობის მოსმენისას საშინელების მსგავსსაც კი არაფერს ვგრძნობდი, - ისე ბუნებრივად და მგზნებარედ ლაპარაკობდა; რომ მისი თავგადასავალი უცნაურ ბოდვად უფრო მეჩვენებოდა, ვიდრე საძრახის საქციელად. და შემდეგ, იმისთვის, ვისაც ჩემს მსგავსად წუხანდელ დამეს ასეთი მოულოდნელი მეხი დაატყდა თავს, სიტყვა „მეუძლებელმა“ ყოველგვარი აზრი დაკარგა. ამ ათი საათის განმავლობაში ბევრად უფრო ღრმად შევიცანი ჭეშმარიტი ცხოვრება, ვიდრე მშვიდად გატარებული ორმოცი წლის მანძილზე.

სამაგიეროდ სულ სხვა რამემ შემაშინა ამ აღსარების დროს: ეს იყო მისი თვალების ავადმყოფური კრთომა, როდესაც თამაშით თავის გატაცებაზე მიამბობდა. ამ დროს, თითქოს ელექტროდენმა დაუარაო, სახის ყველა კუნთი უთრთოდა. განცდილის უბრალო გახსენებაც კი აღაგზნებდა, და მისი მეტყველი სახე საოცარი სიზუსტით გადმოსცემდა ამ საამო და მტანჯველ მღელვარებას.

უნებლიეთ მისი ხელები, ეს საოცარი, წვრილსახსრიანი, ნერვული ხელები, როგორც წინათ სათამაშო მაგიდასთან, კვლავ მტაცებელ, დევნილ და გაქცეულ არსებებს დაემსგავსნენ; და როცა ლაპარაკობდა, შევამჩნიე, უცებ როგორ იწყებდა მათ ძაგძაგს, კრუნჩხვა და უჩვეულო ძალით დაჭიმვა, შემდეგ კი ხელახლა სცილდებოდნენ ერთმანეთს და კვლავ ებლაუჭებოდნენ. ხოლო როცა ძვირფასი ნივთების მოპარვაში გამოტყდა (უნებლიეთ ჟრუანტელმა დამიარა), ეს ხელები მეყსეულად შეხტნენ და სწრაფი, ქურდული მოძრაობა დაიწყეს. თვალნათლივ დავინახე, როგორი გააფთრებით დაეცნენ ძვირფას ნივთს თითები და მუშტმა თითქოს გადაყლაპაო იგი. ენითუთქმელი შეძრწუნებით შევიგნე, რომ ამ ადამიანის მთელი არსება ვნებას მოეწამლა.

რამაც მის ნაამბობში ასე შემაშფოთა - ეს იყო ახლგაზრდა, წმინდა გულის მქონე, ბუნებით უზრუნველი ადამიანის ასეთი დამთხვეული აზარტი. და მე ვალდებულად ჩავთვალე თავი მეგობრის უფლებით დამეთანხმებინა ბედის მიერ მოგზავნილი ეს ჩემი აღსაზრდელი, ახლავე დაეტოვებინა მონტე კარლო, სადაც ცდუნება ეგზომ დიდია. დაბრუნებოდა თავის ოჯახს, სანამ აბზინდების დაკარგვა ჯერ არ იყო შემჩნეული. აღვუთქვი, საგზაოდ და ძვირფასი ნივთების დასახსნელად ფულს მივცემდი, ოღონდ იმ პირობით, რომ დღესვე გაემგზავრებოდა და პატიოსან სიტყვას მომცემდა, ხელი აღარ ეხლო ფსონის ქალღალღისათვის, სამუდამოდ თავი დაენებებინა ყომარისათვის.

არასოდეს დამავინყდებია პირველად როგორი მორჩილებით, შემდეგ კი როგორი მხურვალე მადლობის გრძნობით მისმენდა ეს უცხო, დაღუპული ადამიანი, როგორ ნთქავდა ჩემს სიტყვებს, როდესაც დახმარებას ვპირდებოდი. მაგიდაზე ჩემი განვდილი ხელი ისეთი ზეგარდმო მოწინებით აიღო თავის ხელში, თითქოს წმინდა აღთქმას იძლევაო. ნათელი, ჩვეულებრივად ოდნავ შეწუხებული თვალები ცრემლებით ევსებოდა, ბედნიერი აღელვებისაგან მთელი სხეული უთრთოდა. რამდენჯერ შევეცადე ამეწერა თქვენთვის მისი უჩვეულოდ მეტყველი მოძრაობა, მაგრამ ამის გადმოცემა არ ძალმიძს: მასში ისეთი აღტაცებული, ისეთი არამინიერი ზეშთაგონება იყო, რომლის ხილვას ძნელად თუ მოახერხებთ ადამიანის სახეზე. მისი შედარება შეიძლება მხოლოდ იმ თეთრ აჩრდილთან, რომელიც გამოღვიძებისას შენს თვალში კრთის ხოლმე, - თითქოს გაფრენილი ანგელოსის სახეებას ხედავდე.

რა დასამალია: ამ მზერას ვერ გავუძელი. მადლიერება ბედნიერებას გვანიჭებს, მას ხომ ისე იშვიათად ვხვდებით, სინაზე კი სიამეს გვგვრის; ჩემთვის, ცივი, წინდახედული ადამიანისათვის, მათი ასეთი სიჭარბე, რაღაც კეთილისმყოფელ, ნეტარ სიახლეს წარმოადგენდა. და კიდევ: ამ დაცემულ, გასრესილ ადამიანთან ერთად ბუნება წინა დღეს მოსული წვიმის შემდეგ ჯადოსნური ძალით იღვიძებდა. როდესაც რესტორნიდან გამოვვდივით, უკვე სავსებით მშვიდი ზღვის ზედაპირი დიდებულად ლაპლაპებდა, მისი

ლაჟვარდი ცის ლაჟვარდს ერთვოდა; თეთრი თოლიები უზრუნველად დაფარფატებდნენ ჰაერში. ხომ იცნობთ რივიერას პეიზაჟს, იგი ყოველთვის მშვენიერია, როგორც ხედიანი ღია ბარათი, თვალწინ წარმოგიდგებათ თავისი უცვლელად მუქი ფერებით; ეს არის მოთენთილი, ბანტი სილამაზე, რომელიც განურჩევლად აძლევს უცხო მზერას უფლებას მიაშტერდეს მას, როგორც აღმოსავლეთში იქცევა ხოლმე ჰარამხანის მზეთუნახავი. მაგრამ ისეთი დღეებიც დგება, თუმცა საკმაოდ იშვიათად, როცა ეს სილამაზე იღვიძებს, თავს გარეთ ყოფს, თითქოს გიმღერითო, ნათელი, გახელებით მოკიაფე ფრთებით, ფეხქვეშ ფიანდაზად გიფენს თავის აყვავებულ სიჭრელეს, ანთია, გრძნობით იწვის. და ასეთი მოზიმიე დღე დაიბადა ჭექა-ქუხილის შემდეგ, მშფოთვარე ღამის ქაოსიდან. ქუჩები ისე ლაპლაპებდნენ, თითქოს ვინმეს გადაერეცხა, ცას ფირუზისფერი ედო, აქა-იქ ჩნდებოდნენ აყვავებული ბუჩქები, - ფერადფერადი ჩირაღდნები წვიმით გაჟღენთილ ტენიან ბალახებს შორის. მთებს თითქოს ღია ფერი დასდებოდა, თითქოს უფრო ახლოსაც ჩანდნენ - ისე გამჭირვალე გახდა მზით გამსჭვალული ჰაერი. ეს მთები ცნობისმოყვარეობით გარსშემორტყმოდნენ გაკრიალებულ, მოლაპლაპე პატარა ქალაქს, ყოველ გამოხედვაში ბუნების გამამხნეველები ძახილი იგრძნობოდა, და იგი უნებლიეთ გულს იპყრობდა.

- ეტლი დავიჭირავოთ, - ვუთხარი მას, - და ზღვის ნაპირზე გავისეირნოთ.

სიხარულით თავი დამიქნია: ეტყობოდა, აქ ჩამოსვლის წუთიდან ეს ჭაბუკი პირველად ხედავდა და ამჩნევდა ბუნებას. მანამდე არაფერი იცოდა, ოფლის საზიზღარი სუნით გაჟღენთილი სამორინეს სულშემხუთველი დარბაზის, საძაგელი, ხელიდანნასული ადამიანებისა და უკარება, მშფოთვარე ზღვის გარდა.

ახლა კი ჩვენ წინაშე უზარმაზარ მარაოდ გადაიშალა მზის სხივებით აკიაფებული ზღვის ნაპირი და ჩვენი მზერაც, დამტკბარი ამ სანახაობით, ნათელ შორეთში ჩაიძირა. ნელა მოვსეირნობდით ეტლით (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ავტომობილი) ალტაცების მომგვრელ გზაზე, რომლის ორსავე მხარეს მრავალი ვილა იდგა, - სანახს სანახი ცვლიდა, და ყოველ სახლთან იტალიური ფიჭვების სიმწვანეში ჩაფლულ ყოველ ვილასთან გვებადებოდა სურვილი: აქ შეიძლებოდა მშვიდად, მხიარულად, ქვეყნიდან მოშორებით ცხოვრება.

ჩემს სიცოცხლეში ოდესმე ვყოფილვარ ამ წუთზე უფრო ბედნიერი? არ ვიცი. ჩემს გვერდით იჭდა ახლგაზრდა კაცი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ სიკვდილისა და ბედისწერის კლანჭებში იმყოფებოდა, ახლა კი, მზის მჩქეფარე ნაკადით გასხივოსნებული, ბევრად უფრო ახლგაზრდად გამოიყურებოდა. სულ პატარა ბიჭს, ლამაზ მოთამაშე ბავშვს დაემსგავსა, რომელსაც ლაღი, მაგრამ მოკრძალებული თვალეები ჰქონდა და ამ კაცში ყველაზე მეტად მისი ფხიზელი სინაზე იწვევდა ალტაცებას; აღმართზე ცხენებს როცა უჭირდათ, მყისვე ჩამოხტებოდა ხოლმე, რომ ეტლს მისწოლოდა. საკმარისი იყო მისთვის გზის პირას ამოსული ყვავილი მეჩვენებინა, რომ მაშინვე მოსაწყვეტად გაქცეულიყო. პატარა გომბემო, წინადღის წვიმის შემდეგ გამოცოცხლებული, ნელა რომ მიხტუნავდა გზაზე, ხელში აიყვანა და, ეტლს რომ არ გაესრისა, ფრთხილად ჩასვა მწვანე ბალახში. მხიარულად ჰყვებოდა სასაცილო ამბებს, ამ სიცილეში მისი ხსნა იმალებოდა, იგი ხომ ისეთ ალტაცებულ ბარხოშს მოეცვა, რომ თუ ასე არა, მაშინ უნდა ემღერა, ეცეკვა ან სისულელე ჩაედინა.

როცა მთებში პატარა სოფელს გვერდით ჩავუარეთ, უცებ მოწინებით ქუდი მოიხადა. გავოცდი: ვის ესალმებოდა უცხო უცხოთა შორის? ოდნავ განითლდა ჩემს შეკითხვაზე და ამიხსნა, თითქოს ბოდიშს მიხდისო, რომ ჩვენ ეკლესიას გვერდით ჩავუარეთ, მათთან კი, პოლონეთში, როგორც ყველა მკაცრ კათოლიკურ ქვეყანაში, ბავშვობიდანვე აჩვენებენ ქუდის მოხდას ყოველი ეკლესიისა და ტაძრის წინ. სინამდინეთა მიმართ ამ საუცხოო მოკრძალებამ ამაღელვა, ჯვარი რომ გავახსენე, რომელზეც ნედან ვლაპარაკობდი, იქვე შევეკითხე, მორწმუნე იყო თუ არა, და როდესაც ოდნავ შემკრთალმა მორიდებით მიპასუხა, ცოდვას მოვინანიებო, თავში უცებ აზრმა გამიელვა: - შეჩერდით! - ვუბრძანე მეეტლეს და სწრაფად ჩამოვედი ეტლიდან. გაცელებული ჭაბუკი უკან გამომყვა.

- საით მივდივართ?

მხოლოდ ეს ვუპასუხე: - გამომყევით.

რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ და ეკლესიას მივადექით. ეს იყო აგურით ნაგები პატარა სოფლური საყდარი. შიგ შევედით. კირით შეღებილ შიშველ, რუხ კედლებს ბუნდოვანი სისპეტაკის დაღი ედო. ღია კარიდან სინათლის სხივი სოლივით შეიჭრა ნახევრად წყვდიადში, სადაც პატარა საკურთხევლის ლურჯი ჩრდილი ზანტად განოლილიყო. ორი სანთელი მკრთალად ციმციმებდა საკმევლის სუნიტ გაჟღენთილ მწუხრში. მან ქუდი მოიხადა, ხელი ჩაჰყო ნაკურთხ წყლიან ბარძიმში, პირჯვარი გამოისახა და მუხლი მოიდრიკა.

როგორც კი ადგა, მკლავში ხელი ნავავლე.

- მიუახლოვდით საკურთხეველს ან თქვენთვის წმინდა ხატს და მიეცით საზეიმო აღთქმა, რასაც მე გიკარნახებთ. დაბნეულად, თითქმის შიშით შემომხედა, მაგრამ სწრაფად მოისაზრა, ნიშთან მივიდა, პირჯვარი გამოიხატა და მორჩილებით მუხლზე დაემხო.

- გაიმეორეთ, რასაც გეტყვით, - ვუთხარი, - გაიმეორეთ ჩემი სიტყვები: - „ვფიცავ...“: „- ვფიცავ“, - გაიმეორა.

„... რომ არასოდეს ჩემს ცხოვრებაში აღარ გავყვები ყომარს, არასოდეს აღარ ვიკისრებ, სიცოცხლე და პატივი საფრთხეში ჩავიგდო ასეთი ვნების გულისთვის“.

ჩემს ნათქვამს ცახცახით იმეორებდა; მკაფიოდ, ხმამაღლა გაისმოდა ეს სიტყვები უკაცრიელ ეკლესიაში. შემდეგ ერთი წუთით ჩამოვარდა სიჩუმე, ისეთი სიჩუმე, რომ ხეთა ოდნავი შარიშურიც კი ისმოდა, - ფოთოლთა შორის ნიავი დასისინებდა. და ეს ვაცი უეცრად მიწაზე დაემხო, თითქოს მონანიებას აპირებსო, და ისეთ ექსტაზში, რომელიც ჯერ არასოდეს მიხილავს, დაინყო სწრაფად, სხაპასხუპით პოლონურ ენაზე ჩემთვის გაუგებარი სიტყვების ჩურჩული. ეს იყო აღტყინებული ადამიანის ლოცვა, მაღლიერებისა და მონანიების ლოცვა, ვინაიდან აღსარების აზვირთებაში თავი მისი მოწინებით იხრებოდა საწიგნეს ფერხთან, სულ უფრო მეტი ვნებით მეორდებოდა უცხოური ბგერები, და სულ უფრო მეტი აღტყინებით, უჩვეულო მგზნებარებით აღმოხდებოდა ხოლმე ერთი და იგივე სიტყვა. არასდროს მსმენია ეკლესიაში ასეთი ლოცვა. მისი დაკრუნჩხული ხელები საწიგნეს ჩაეჭიდნენ, მთელი სხეული უთრთოდა მასში ატეხილი გრიგალისაგან, რომელიც ხან ზეაღიტაცებდა, ხან კი ისევ ძირს განართხობდა. ვერაფერს ხედავდა, ვერაფერს გრძნობდა; ეტყობოდა, სულ სხვა სამყაროში, ფერიცვალების განსაწმენდელ ცეცხლში იმყოფებოდა, ანდა სადღაც ბევით მიისწრაფოდა. ბოლოს, ფრთხილად ადგა, პირჯვარი გამოისახა და თითქოს უხალისოდ შემობრუნდა. მუხლები უკანკალებდა, სახეზე სუდარის ფერი დასდებოდა. მე რომ შემამჩნია, თვალი გაუბრწყინდა, წმინდა, ჭეშმარიტად ღვთისმოსავის ღიმოღმა გაანათა მისი ამქვეყნისაგან მოწყვეტილი სახე; მომიახლოვდა, რუსულ ყაიდაზე ქედი მოიხარა, ხელში მეცა და მოწინებით მიიტანა თავის ბაგესთან.

- თქვენ ღვთისაგან ხართ მოგზავნილი, ამისთვის ღმერთს მაღლი შევწირე.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა, მაგრამ სურვილმა მომიარა, რომ დაბალი საკურთხევლის ქვეშ უცებ ორდანის ხმა მომესმინა, რადგან ვგრძნობდი, რომ ჩემს მიზანს მივადნიე: ეს ადამიანი ვიხსენი საბოლოოდ.

ეკლესიიდან გამოვედით. მაისის ჭეშმარიტად ვაშკაშა დღე იყო, სინათლე უხვ ნაკადად იღვრებოდა; ქვეყანა არასოდეს ასე მშვენიერი არ მჩვენებია. კიდევ ორ საათს ვმგზავრობდით ულამაზეს გზაზე, რომელიც ბორცვებს შორის მიიკლავნებოდა, და ყოველი მოსახვევის შემდეგ სულ ახალი სანახი იშლებოდა. მაგრამ კრინტს არ ვძრავდით. გრძნობათა ასეთი აზვირთების შემდეგ სიტყვები არარაობად გვეჩვენებოდა. როცა ჩემი მზერა შემთხვევით მისას ხვდებოდა, შემკრთალი თვალს ვარიდებდი: ჩემს მიერვე მოხდენილი სასწაული შემადრწუნებლად მოქმედებდა.

სადამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა კვლავ მონტე კარლოში დავბრუნდით. ნათესავებს უნდა შევხვედროდი, ამის თავის არიდება კი შეუძლებელი იყო. გამოგიტყდებით, სულის სიღრმეში შესვენება მწყუროდა ასეთი უკიდურესად დაძაბული განცდების შემდეგ, რადგან ეს წარმოუდგენლად ჭარბი ბედნიერება იყო. ვგრძნობდი, რომ უნდა დამესვენა ამ მწველ, მღელვარე მდგომარეობაში მყოფს, რაც ჯერ არასოდეს განმეცადა. ამიტომ ჩემს აღსაზრდელს ვთხოვე მხოლოდ ერთი წუთით შემოიგლო სასტუმროში; იქ, საკუთარ



ოთახში გადავეცი ფული გამგზავრებისათვის და ძვირფასი ნივთების გამოსასყიდად. შევთანხმდით, რომ ბილეთისათვის იზრუნებდა, შემდეგ დავთქვით - ერთმანეთს საღამოს შვიდ საათზე სადგურის ვესტიბულში შევხვდებოდით, იქ ნახევარ საათს დავყოფდით, სანამ გენუის მატარებელი შინისკენ გააქროლებდა. როდესაც ხუთი ბანკნოტი გავუწოდე, ტუჩები მთლად გაუფითრდა.

- არა... ფული საჭირო არ არის... გთხოვთ, არ მინდა... - ყრუდ წარმოთქვა და მოცახცახე თითები უკან გასწია, - ფული საჭირო არ არის... ნუ მომცემთ... მათი დანახვა არ შემიძლია, - გაიმეორა და ზიზღისა თუ შიშის გამო მთელი სხეულით აძაგძაგდა.

მაგრამ მე ვამშვიდებდი მას: - ამას მხოლოდ სესხად გაძლევთ, თუ აღება გრცხვენიათ, შეგიძლიათ ხელწერილი მომცეთ.

- დიახ... დიახ... ხელწერილი, - ნაიბურტყუნა მან, თვალი მომარიდა, ასიგნაციები დაჭმუჭნა, თითქოს წებო ჰქონდა წასმული და თითებს ეკრობოდაო, დაუხედავად ჯიბეში ჩაბლუჯა და ქალაღდის ფურცელზე სწრაფად რამდენიმე სიტყვა დაწერა. თავი ასწია, მისი შუბლი ციებიანსავით ოფლად დაეცვარა, ფურცელი რომ გამომინოდა, ათროლოდა, თითქოს სხეულში ელექტრო დენმა დაუარაო, და უცებ უნებლიე შიშისაგან შევტორტმანდი - მუხლებზე დაემხო და ვაბის არშიაზე მემთხვია. ეს იყო აუნერელი შესტი: მასში იმდენი გრძნობა იმალებოდა, რომ მთელი ტანით ავცახცახდი. უცნაურმა დაბნეულობამ შემიპყრო, მხოლოდ ესღა მოვახერხე ჩურჩულით წარმომეთქვა: - გმადლობთ, რომ ასეთი მაღლიერი ხართ. მაგრამ გთხოვთ, წადით ახლავე. საღამოს შვიდ საათზე სადგურის ვესტიბულში გამოვეთხოვებით ერთმანეთს.

შემომხედა, თვალი ცრემლით ავსებოდა; იმ წუთში მომეჩვენა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, თითქოს ჩემკენ მოისწრაფოდა. მაგრამ უცებ მდაბლად თავი დამიკრა და ოთახიდან გავიდა.

მისის კ-მ კვლავ შეწყვიტა თხრობა. ადგა, ფანჯარასთან მივიდა, უმოძრაოდ დიდხანს იყურებოდა ქუჩაში. მისი ზურგის მოხაზულობაში მერყეობისგან გამონვეული მცირედი თროლოვა შევნიშნე. უეცრად შემობრუნდა: მისმა მანამდის მშვიდმა, ცივმა ხელმა უცებ მკვეთრი, აჩქარებული მოძრაობა გააკეთა, თითქოს რაღაცის გახევა სურსო. შემდეგ ქალმა მტკიცედ, თითქმის გაბედულად შემომხედა და განაგრძო: - ხომ დაგპირდით, თქვენ წინაშე სავსებით გულწრფელი ვიქნები-მეთქი. დღეს ვხედავ, როგორი აუცილებელი იყო ეს დაპირება. მხოლოდ ახლა, როდესაც პირველად ვაიძულე თავს თანმიმდევრობით აღვწერო იმ საათში მომხდარი ყველა შემთხვევა და ვცდილობ მკაფიო სიტყვები გამოვწახო ბუნდოვანი, შეუმჩნეველი გრძნობის გამოსახატავად, ჩემთვის მხოლოდ ახლა ცხადი ხდება ბევრი რამ, რაც მაშინ არ მესმოდა, ანდა შესაძლებელია, არ მსურდა გამეგო. ამიტომაც მინდა მტკიცედ და გადაჭრით გითხრათ სიმართლე თქვენცა და ჩემს თავსაც: მაშინ, იმ წუთში, როცა ის ოთახიდან გავიდა და მართო დავრჩი, გული ისე გამეთანგა, თითქოს ოდნავ თავბრუ დამესხაო, რაღაცამ მომაკვდინებელი ტკივილი მომაყენა, მაგრამ არ ვიცოდი ან არ მსურდა მცოდნოდა რატომ მოხდა, რომ ჩემი აღსაზრდელის ამაღელვებელმა თავაზიანობამ ასე სასტიკად დამიკოდა გული.

მაგრამ ახლა, როდესაც თავს ვაიძულე მესხიერებაში წარსულის აღდგენას, თითქოს ამ წარსულს მე კი არა, სხვა ვინმე უცქეროდეს, როდესაც მთელი ჩემი კდემამოსილების მიუხედავად არაფრის დამალვა არ ძალმიძს, ნათლად მაქვს შეგნებული: ის, რამაც მაშინ ასეთი ტკივილი მომაყენა, სასონარკვეთილება იყო... ეს ჭაბუკი ხომ ასე მორჩილად წავიდა... ოდნავდაც არ ცდილა ჩემთან დაახლოებას... უსიტყვოდ, თავაზიანად დაემორჩილა ჩემს პირველ თხოვნას, იმის ნაცვლად, რომ თავისკენ მივებიდე, მხოლოდ წმინდანად ჩამთვალა, რომელიც გზაზე მოვევლინა, და... ჩემში ქალი ვერ ჰპოვა...

ეს იყო სასონარკვეთილება... სასონარკვეთილება, რაშიც ჩემს თავს ვერ გამოვუტყდი ვერც მაშინ, ვერც შემდეგ, მაგრამ ქალის შინაგანი გრძნობა ყველაფერს უსიტყვოდ შეიცნობს. იმიტომ რომ... ახალა საკუთარი თავის მოტყუებას აღარ ვცდილობ - ეს ვაცი რომ იმწამსვე გადამხვეოდა, ებრძანებინა ჩემთვის, მასთან ერთად ჯანდაბის იქით გადავიკარგებოდი, შევირცხვინდი სახელს, შევარცხვინდი ჩემს შვილებს... არაფრად

ჩავაგდებდი ხალხის მიტემა-მოტემასა და გონების ხმას, გავიქცეოდი მასთან ერთად, როგორც ქალბატონი ჰანრიეტი ახალგაზრდა ფრანგთან ერთად გაიქცა, რომელსაც წინააღმდეგობა არც კი იცნობდა... არ შევეკითხებოდი, საით და რამდენი ხნით წავიდოდით, გამოსათხოვებლადაც კი არ შევხედავდი ჩემს წარსულ ცხოვრებას. მსხვერპლად შევწირავდი ამ ადამიანს ჩემს ფულს, სახელს, გონებას, პატიოსნებას... მოწყალეების სათხოვნელადაც კი წავიდოდი და, ალბათ, არ არსებობს ქვეყნად ისეთი სიმდაბლე, რომლის გაკეთებას ეს კაცი ვერ მაიძულებდა. ყველაფერს, რასაც ხალხი სირცხვილსა და მორიდებას ეძახის, უკუვაგდებდი, ჩემთვის მას ერთი საალერსო სიტყვაც რომ ეთქვა, ხელი გამოეწოდა, ცდილიყო თავისთან დავეტოვებინე, ამ ნუთში მთლიანად მისი მონა-მორჩილი ვიქნებოდი.

მაგრამ... უკვე გითხარით... ეს შემთხვევითი ადამიანი ჩემში ქალს ვერ ხედავდა, მე კი როგორი ძალით, როგორი მორჩილებით მივისწრაფოდი მისკენ; მხოლოდ მაშინ ვიგრძენი ჩემი მარტოობა, როდესაც ვნებამ, მის გასხივოსნებულ, ჭეშმარიტად ანგელოსურ სახეს, წელან რომ ასე აცისკროვნებდა, წყვილი დაამკვიდრა ჩემს არსებაში და ჩემს დაობლებულ გულში გრიგალი ასტეხა. ძლივიძვივობით ფეხზე წამოვდექი, წინასწარ ვგრძნობდი მომავალი უსიამოვნო შეხვედრის მთელ სიმძიმეს. მეჩვენებოდა, თითქოს თავზე რკინის მუზარადი ჩამომაცვესო, რომლის სიმძიმის ქვეშ ქანაობა დავიწყე; ბოლოს როდესაც სხვა სასტუმროში ნათესავებთან წავედი, თავი საშინლად არეული მქონდა, ფეხს ძლივს მივათრევდი. გაოგნებული ვიჯექი მხიარულად მოლაპარაკე ხალხში და შიში მიპყრობდა, როდესაც შემთხვევით თავს მაღლა ავიღებდი და მათს უძრავ სახეებს შევხედავდი. ეს სახეები სინათლისა და ჩრდილის თამაშით გაცოცხლებული იმ სახესთან შედარებით გაქვავებულ ნიღბებს ჰგავდნენ. საშინლად უსიცოცხლო იყო ეს საზოგადოება, მომეჩვენა, თითქოს გარშემო მიცვალებულები მახვევიანო. იმ დროს, როდესაც შაქარს ფინჯანში ვიგდებდი და დაბნეულად ვმონანილეობდი საუბარში, გულის თითოეულ ძვერასთან ერთად ჩემ წინაშე აღიმართებოდა ხოლმე სხვა სახე, რომლის თვალთვალი ჩემთვის მწველ სიხარულად გადაიქცა, და რომელიც, - ფიქრიც კი საშინელია! - ორი საათის შემდეგ უკანასკნელად უნდა მეხილა. ალბათ, უნებლიეთ ამოვიოხრე და დავიკვნესე, რადგან ჩემი ქმრის ბიძაშვილი ჩემკენ გადმოიხარა; რა მოგივიდათ, ავად ხომ არა ხართ, ძალზე ფერმკრთალი და უღიმღამო შეხედულება გაქვთო. ეს მოულოდნელი შეკითხვა დამეხმარა სწრაფად და ადვილად მეპოვნა მიზეზი: საშინელი შაკიკი მაქვს და ნება მომეცით, შეუმჩნევლად წავიდე-მეთქი.

ახლა ისევ საკუთარ თავს ვეკუთვნოდი; გავემურე ვვლავ ჩემს სასტუმროში. როგორც კი მარტო დავრჩი, ხელახლა დამეუფლა სიცარიელისა და განდევნილობის გრძნობა, გამეღვიძა სწრაფვა ამ ჭაბუკისადმი, რომელსაც დღეს სამუდამოდ უნდა განვშორებოდი. ოთახში ერთი კუთხიდან მეორემდე ბოლთას ვცემდი, საჭირო იყო თუ არა, უჭრებს ვწვდი, გამოვიცვალე კაბა და ბაფთა, გამომცდელი მზერით ვათვალიერებდი საკუთარ თავს სარკეში: იქნებ ასეთი მორთულობით მაინც მივიქციო მისი ყურადღება-მეთქი.

და უცებ შევიგნე, რაც მინდოდა: რაღაც უნდა დამჭდომოდა ხელიდან არ გამეშვა ეს კაცი! ერთი საბედისწერო წამის განმავლობაში ეს სურვილი გადანწყვეტილებად იქცა. ქვევით, კარისკაცთან ჩავირბინე და შევატყობინე, საღამოს მატარებლით მივემგზავრები-მეთქი. აჩქარება მმართებდა: მსახურს დავურეკე ნივთების ჩალაგებაში დამხმარებოდა - სულ ცოტა დროლა რჩებოდა; როდესაც სახელდახელოდ ყუთში ვალაგებდი კაბებსა და ყოველგვარ წვრილმანს, ვოცნებობდი მომავალ მოულოდნელობაზე: როგორ მივაცილებ მატარებლამდე და სულ უკანასკნელ ნუთებში, გამოსათხოვებლად ხელს რომ გამომიწვდის, მის გაოცებას საზღვარი არ ექნება, როდესაც უცებ კუბეში შევყვები, გავატარებ მასთან ამ ღამეს, შემდეგ, - იმდენს, რამდენსაც მოისურვებს. ძარღვებში რაღაც საოცარ, უჩვეულო ნეტარებას ვგრძნობდი. ხან კი ყუთებში კაბას რომ ვაგდებდი, ხმამაღლა ვიცინოდი, რაც მოსამსახურე გოგოს გაკვირვებას იწვევდა. ბუნდოვნად წარმოდგენილი მქონდა, რომ თავი დავკარგე; და როდესაც მსახური ყუთების წასაღებად მოვიდა, გაოცებით შევხედე: ძნელი იყო ამგვარ უბრალო საგნებზე ფიქრი, როდესაც ჩემი სხეული ასეთ მღელვარებას მოეცვა.

დრო გადიოდა: ალბათ, უკვე შვიდი ხდებოდა, მატარებლის გასვლამდე უკეთეს შემთხვევაში ოციოდე ნუთი იყო დარჩენილი; მართალია, - ვიმშვიდებდი თავს, -

გამოსათხოვებლად ხომ არ მივდივარ, - რაკი მისი გაცხილება გადავწყვიტე, იქამდის უნდა გავყვე, სადამდისაც თვითონ მოისურვებს. მსახურმა ყუთები გამომიტანა, მე კი სასტუმროს სალაროსკენ გავემართე ანგარიშის გასასწორებლად. მმართველმა უკვე ხურდა გამომიწოდა, ის-ის იყო, უნდა გამოვსულიყავი, რომ უეცრად ვიღაცამ მხარზე ნაზად ხელი დამადო. შევკრთი. ქმრის ბიძაშვილი გამოდგა, - ჩემს სანახავად მოსულიყო, რადგან წელან თავი შეუძლოდ მოვაჩვენე. თვალთ დამიბნელდა. მასთან დარჩენა არ შემეძლო; დაყოვნების ყოველი წამი საბედისწერო შეიძლებოდა გამომდგარიყო. მაგრამ ბრდილობა მავალეზდა მისთვის მცირე ყურადღება მაინც მიმეცხია.

- შენთვის აუცილებელია ლოგინში ჩანოლა, - დაიჟინა. - აშკარაა, სიცხე გაქვს.

შეიძლება ასეც იყო, რადგან საფეთქლები მტეხდა და თვალთ მიბნელდებოდა, როგორც გულის წასვლის დროს ხდება ხოლმე. მაგრამ თავის დაჭერას მაინც ვახერხებდი, მადლობას ვუძღვნიდი თანაგრძნობისათვის, თუმცა თითოეული სიტყვა აღმურს მდებდა; შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მის უადგილო ზრუნვას პანდურს ამოვკრავდი, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმარი წასვლას არ აპირებდა, შემომთავაზა ოდეკოლონი, არ დაეზარა ჩემთვის საკუთარი ხელით საფეთქლები დაეზიდა; მე კი ნუთებს ვითვლიდი, ვფიქრობდი მასზე, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, როგორ დამეღწია თავი ამ მტანჯველი თანაგრძნობისაგან და რამდენადაც უფრო ვნუხდებოდი, ეს მით უფრო საეჭვოდ ერჩვენებოდა არამკითხე გულშემატკივარს. სურდა თითქმის ძალით გავეგზავნე ჩემს ოთახში და ლოგინში ჩავენვინე. მაგრამ უცებ, მაშინ როდესაც იგი თავისას განაგრძობდა, დარბაზში დაკიდებულ საათს შევხედე: რვის ოცდარვა ნუთი იყო, შვიდსა და ოცდათხუთმეტზე კი მატარებელი გადიოდა. სხვაფრივ როგორ მოვიქცეოდი, ქმრის ბიძაშვილს უხეშად, სასონარკვეთილებით გამონვული გულგრილობით ხელი გავუნოდე და მივაძახე: ნახვამდის, უნდა წავიდე-მეთქი, მის გაშტერებულ მზერას ყურადღება არ მივაქციე, უკან არ მომიხედავს, გაოცებულ ლაქიებს გვერდი ჩავუარე, კარში გავვარდი და სადგურისკენ გავიქეცი. მტვირთავი ბარგით მიცდიდა. მისი აღელვებული ჟესტიკულაციით მივხვდი, რომ უკანასკნელ ნუთს მივედი. თავგზააბნეული თარჯს მივანყედი, მაგრამ კონტროლიორმა გამაჩერა: ბილეთის ყიდვა დამიზინებოდა. და როდესაც მას შეუპოვრად ვემუდარებოდი, ბაქანზე გავეშვი, მატარებელი დაიძრა. მთელი სხეულით აცახცახებული დაძაბულად ვიცქირებოდი, სარკმელში მისი მზერა, ხელის ქნევა, სალამი მაინც რომ შემენიშნა. მაგრამ მატარებლის ჩქარი სვლა მისი სახის გარჩევის საშუალებას არ მაძლევდა. ვაგონები სულ უფრო სწრაფად მიექანებოდნენ და ერთი ნუთის შემდეგ მატარებლიდან მხოლოდ შავი კვამლის ღრუბელი დარჩა.

აღბათ, დიდხანს ვიდგებოდი ერთ ადგილას გახევებული; მტვირთავი რამდენჯერმე შეეცადა დამლაპარაკებოდა, შემდეგ კი გაბედა მკლავზე ხელი მოეკიდა. გამოვერკვიე. ბარგი ისევ უკან სასტუმროში წავიღო? გონება უცებ ვერ მოვიკრიბე; არა, ეს შეუძლებელია, ნუთუ კვლავ იქ უნდა დავბრუნდე ასეთი სასაცილო, უთავბოლო გამგზავრების შემდეგ? არამც და არამც! მოთმინება არ მყოფნიდა, მსურდა, რაც შეიძლება მალე მართო დავჩენილიყავი, ამიტომაც მტვირთავს ვუბრძანე, ბარგი შესანახად მიებარებინა და მხოლოდ შემდეგ, სულ ახალ-ახალი სახეების მდინარეში, რომელიც ხმაურით შედიოდა დარბაზში და ნაკადებად გამოდიოდა კარებში, შევეცადე მომეაზრა, რაღაც მომეაზრა, როგორ დამეძლია ეს გახელებული, გამგმირავი შემოტევა გულისწყრომისა, სინანულისა და სასონარკვეთილებისა, რადგანაც - რატომ უნდა დაგიმალოთ - აზრი, რომ ჩემივე მიზეზით დავკარგე უკანასკნელი შეხვედრის შესაძლებლობა, გახურებული შანთივით უღმობლად მწვავდა. მინდოდა დამეყვირა. მხოლოდ ძალზე ცივი ადამიანის ცხოვრების განუმეორებელ ნუთებში ხდება გვავივით მოულოდნელად მოვარდნილი, გრიგალივით თავანწყვეტილი ასეთი ვნების აზვირთება, როცა ამ ადამიანს წარსული წლები, გამოუყენებელი ძალების მთელი სიმძიმე მრისხანედ თავს დაატყდება ხოლმე.

არასოდეს ჩემს ცხოვრებაში არ განმიცდია ასეთი რეტის დასხმა, ასეთი სასტიკი უძლურება, როგორც იმ ნუთში, როდესაც მზად ვიყავი ჩამედიანა ყველაზე თავგებულადებული საქციელი, მზად ვიყავი ერთი ხელის დაკვრით ამეყირავებინა მთელი ჩემი თავდაჭერილი, მშვიდი ცხოვრება, მოულოდნელად კი აღმოვჩნდი გადაულახავი, უაზრო ზღუდის წინაშე, რომელსაც უმწეოდ ეხეთქებოდა ჩემი აშლილი ვნება.

რის გაკეთებაც მაშინ განვიზრახე, ნამდვილად დამთხვეული, უაზრო, სულელური ნაბიჯი

იყო, ამაზე მრცხვენია კიდევ რაიმე გითხრათ, მაგრამ საკუთარ თავს პირობა მივეცი, ასევე თქვენც აღგიტყვიოთ არაფერი დამეძალა: მე... მე მინდოდა ეს ვაჟი კვლავ ჩემი ყოფილიყო... მინდოდა დამებრუნებინა მასთან გატარებული წუთები... თავმეუკავებლად მივისწრაფოდი იმ ადგილისაკენ, სადაც გუშინ ერთად ვიყავით, ბაღის მერხისაკენ, სადაც ის იწვა, სამორინეს დარბაზში, სადაც პირველად ვიხილე, იმ ჭურღმულშიც კი, ოღონდ ერთხელ კიდევ განმეცადა ჩვენი შეხვედრის ნეტარება. მეორე დღეს კი ვაპირებდი ეტლით სანაპიროზე, იმავე გზით გასეირნებას, რათა ყოველი სიტყვა, ყოველი ჟესტი კვლავ გაცოცხლებულიყო ჩემში, - ეს მართლაც სულელური, ბავშვური ახირება იყო. წარმოიდგინეთ როგორ მეხივით დამატყდა თავს ყოველივე ეს, - აღარაფერს ვგრძნობდი, გარდა ამ თავბრუდამხვევი დარტყმისა. და ახლა, სიმთვრალიდან ასე ტლანქად გამოფხიბლებულს, მინდოდა კიდევ ერთხელ წვეთ-წვეთად, უბრალო თვალის მოკვრით შემესვა განცდილი ნეტარების ნექტარი იმ მაგიური თვითმოტყუების დახმარებით, რასაც ჩვენ მოგონებას ვეძახით; ასეთ რამეს ყველა ვერ გაიგებს, ალბათ საამისოდ მხურვალე გულია საჭირო!

ამრიგად, პირველ ყოვლისა სამორინეში წავედი, მსურდა მეხილა ის მაგიდა, რომელსაც იგი უჯდა და იქ, სხვა ხელებს შორის, მისი ხელები წარმომედგინა. შევედი. გამახსენდა, პირველად რომ ვნახე, მეორე ოთახში მარცხენა მაგიდას უჯდა და მკაფიოდ მეხატებოდა ყოველი მისი მოძრაობა: ძილში დახუჭული თვალებით და განვდილი ხელით მის ადგილსაც კი მოვძებნიდი. რაღა სიტყვა გავაგრძელო, შევედი და დარბაზის ბოლოში გავჩერდი. და აი... როდესაც კარებში მდგომი ამ მარაქის თავმოყრას შევხედე... არ ვიცი, რა დამემართა... იქ, სწორედ იმ ადგილას, სადაც იგი წარმომედგინა, იჯდა... რა არის ეს - სიცხიანი ბოდვაა, თუ მოჩვენება?.. - ის... ის, სწორედ ისეთი, როგორიც წელან დახატა ჩემმა წარმოდგენამ... ისეთი, როგორიც გუშინ იყო, ბურთულაზე მიშტერებული თვალებით, მოჩვენებასავით გაფითრებული... ის, სწორედ ის...

ისე შემეშინდა, კინაღამ შევყვირე. მაგრამ ამ უაზრო მოჩვენების წინაშე შიში ავლავა და თვალი დავხუჭე. „ეს ხომ სიგიჟეა... უთუოდ მეჩვენება... სიცხე მაქვს, - ვუბნებოდი საკუთარ თავს. - ეს ხომ შეუძლებელია, ალბათ, მეღანდება... განა ნახევარი საათის წინათ აქედან არ გაემგზავრა?“ თვალი კვლავ გავახილე. ჰოი, საოცრებაჰ! - იმავე ადგილას იჯდა, სწორედ ის... მილიონ ხელთა შორის ამ ხელებს მაშინვე ვიცნობდი... არა, ეს მოჩვენება არ ყოფილა, ნამდვილად ის იყო. ჩანს, არ გამგზავრებულა, მე კი ფიცი მომცა. უგუნური იჯდა აქ, თან მოეტანა ფული, რომელიც შინ გასამგზავრებლად მივეცი, და მთელი თავდავინყებით, მთელი გატაცებით თამაშობდა, მე კი ასეთი მღელვარებით მისკენ მივისწრაფოდი.

წინ წავინიე, გაშმაგებისაგან თვალთ დამიბნელდა, ბოღმა ყელში მომანვა, მინდოდა ყანყრატი მივწლოდი ფიცის გამტეხს, რომელმაც ასე ურცხვად ფეხქვეშ გათელა ჩემი ნდობა, ჩემი გრძობა, ჩემგან გაღებული მსხვერპლი! მაგრამ თავის შეკავება მაინც შევძელი. ხელოვნური სიმშვიდით (რა მძიმე იყო ეს ჩემთვის!) მაგიდას მივუახლოვდი და სწორედ მის წინ გავჩერდი; რომელიღაც ბატონმა თავაზიანად დამითმო ადგილი. ორი მეტრის სიგრძე მწვანე მაუდი გვყოფდა ჩვენ. და მე შემეძლო, როგორც ლოჟიდან სცენაზე, მეცქირა მისთვის, მეხილა სწორედ ის სახე, რომელიც ორი საათის წინ მაღლიერებით იყო გაცისკროვნებული, ღვთიური მადლით ბრწყინავდა, ახლა კი ადტყინების ჯოჯოხეთური ცეცხლით იწვოდა. ხელები, სწორედ ის ხელები, რომლებიც დღეს უწმინდესი აღთქმის ექსტაზში ეკლესიის სანიგნეს ეჭიდებოდნენ, ახლა, მოკრუნჩხულნი, ვნებით ატანილნი, როგორც სისხლისმსმელი ვამპირები, ფულს ბლუჯავდნენ. ალბათ, ბევრი, ძალზე ბევრი მოეგო. მის წინ ჟეტონების, ლუიდორებისა და ბანკოტების უწესრიგო გროვა აღმართულიყო - საძულველი სიმდიდრე, რაშიც ნეტარებით ფათურობდა, ბანაობდა მისი თითები, მისი ათრთოლებული თითები. ვუყურებდი, როგორი სიყვარულით ასწორებდნენ და კეცავდნენ ისინი ცალკე ასიგნაციებს და ეალერსებოდნენ ოქროს ფულს, შემდეგ კი უცებ ერთ-ერთ ოთხკუთხედზე მთელ ბლუჯას ჰყრიდნენ. იმავე წუთში ცხვირის ნესტოები ებერებოდა, კრუპიეს ძახილი მის ხარბად მოკიაფე თვალებს ფულს აშორებდა, იგი ამ სანახაობაში მთლიანად ჩაძირულიყო, გაშტერებით უცქერდა მოხტუნავე ბურთულას, და მხოლოდ მისი იდაყვები გვეგონებოდათ მწვანე მაგიდაზე მიღურსმნესო. წუხანდელზე მეტი შეუპოვრობით, მეტი სიმედგრით თავს იჩენდა მისი სრული დამთხვეულობა, მისი თითოეული მოძრაობა ჰკლავდა ჩემში მეორე, თითქოს ოქროს ფონზე მოკიაფე სახებას,

რომელიც ასე გულუბრყვილოდ გულში ჩამრჩა.

ორიოდე მეტრით ვიყავით ერთმანეთისაგან დაშორებულნი, გაშტერებით შევყურებდი, მაგრამ მაინც ვერ მაძინევდა, ვერავის ხედავდა: მისი მზერა ფულს ვერ შორდებოდა, თვალები მოუსვენრად ენთებოდა, როცა ბურთულა ბზრიალს იწყებდა. ამ საბედისწერო მწვანე წრეში ჩაქსოვილი იყო ყველა მისი აზრი. მთელი ქვეყანა, ყველა ადამიანური ღირსება ამ მანიაკისათვის მაუდის ოთხკუთხედში იყო თავმოყრილი. და მე მივხვდი, ეს კაცი მაგიდის წინ საათობითაც რომ მდგარიყო, ჩემს იქ ყოფნას მაინც ვერ შენიშნავდა.

მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. უცებ გადავწყვიტე, მაგიდას შემოვუარე, უკანიდან მივუახლოვდი და მხარში ხელი მაგრად ჩავჭიდე. თავი მაღლა ასწია და ერთ წუთს გაშტერებით, შიშის მსგავსი გუგებით მიყურებდა, რამაც ახლად გამოღვიძებული ლოთის ამღვრეული, ნამძინარევი თვალები მომაგონა. შემდეგ, თითქოს მიცნო, მთრთოლვარე ბაგეები გაეხსნა, მხიარულად შემომაცქერდა და უცნაური, საიდუმლო ინტიმობით წაიჩურჩულა: - საქმე კარგად არის... თავიდან ვიცოდი, როცა შემოვდი და დავინახე, რომ ისიც აქ იყო... ეს მე წინასწარ ვიცოდი...

ვერაფერი გავუგე, ვხედავდი, ეს კაცი ყომარით იყო მთვრალი, რომ ამ უგუნურმა დაივინცა ყველაფერი, თავისი აღთქმა, ჩვენი შეთანხმება, დამივინცა მეც და მთელი ქვეყანაც. მაგრამ გახელების ამ წუთებშიც კი მისმა აღტყინებამ იმდენად გამიტაცა, რომ მისი სიტყვებით უნებლიეთ განმსჭვალულმა შეცბუნებით შევეკითხე, ვისზე ლაპარაკობთ-მეთქი.

- ეგერ ცალხელა რუსი მოხუცი გენერალია, - წამჩურჩულა და ახლოს მოიწია, რათა ეს ჯადოსნური საიდუმლო არავის გაეგო. - აი, ის, ჭალარა ბაკენბარდები რომ აქვს, სკამს უკან კი მსახური ახლავს. იგი ყოველთვის იგებს, ჯერ კიდევ გუშინ თვალს ვადევნებდი მის თამაშს, ალბათ, საკუთარი სისტემა აქვს გამომუშავებული, და მე ყოველთვის ფულს იმ ადგილზე ჩავდივარ, სადაც ეს გენერალი სდებს ხოლმე... გუშინ მთელი დღე იგებდა... მე მხოლოდ შეცდომა მომივიდა - თამაში განვაგრძე მისი წასვლის შემდეგ... ეს ჩემი შეცდომა იყო... გუშინ ოცო ათასი ფრანკი მოიგო... დღესაც ყოველ ჩასვლაზე იგებს... ყოველთვის მის შემდეგ ჩავდივარ... ახლა...

უცებ დადუმიდა, ისე რომ სიტყვა არ დაუსრულებია, - გაისმა კრუპიეს მკვეთრი ძახილი: „Faites votre jeu![20]“ და მისი მზერა ხარბად წარიმართა იქითკენ, სადაც თეთრწვერიანი რუსი მედიდურად და მშვიდად იჯდა, იგი მეოთხე ნომერზე ჯერ ერთ ოქროს ფულს ჩავიდა, მცირე მერყეობის შემდეგ კი მეორესაც. ჭაბუკის ათრთოლებული ხელი მყისვე ამოძრავდა, ფულის გროვას ეცა და მთელი ბლუჯა ოქრო იმავე ოთხკუთხედზე დაყარა. და როდესაც ერთი წუთის შემდეგ კრუპიემ „ნოლი“ გამოაცხადა და მთელი მაგიდა მოხვეტა, ჭაბუკი გახევდა, თვალი გააყოლა თავის წაგებულ ფულს, რომელიც სხვის ხელში გადავიდა. იქნებ გგონიათ, ჩემკენ შემობრუნდა? არა, მას სრულიად გადავავინწყდი, გავქერი მისთვის, წავიშალე, გავედი მისი ცხოვრებიდან, მისი თვალები რუს გენერალს მიშტერებოდა, რომელიც ხელში ორ ოქროს ფულს გულგრილად ათამაშებდა და ფიქრობდა, რომელ ნომერზე დაეწყო.

არ ძალმიძს გადმოგცეთ ის მწუხარება, ის სასონარკვეთილება, რაც მაშინ განვიცადე. წარმოიდგინეთ ჩემი სულიერი მდგომარეობა: ადამიანს, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე მსხვერპლად შევწირე, რაღაც ქინქლად მივაჩნდი, უხეშად რომ იგერიებენ ხოლმე. კვლავ საშინლად განვრისხდი. მთელი ძალით ხელში ჩავაფრინდი, ისე რომ იგი უეცრად შეკრთა.

- ადექით ახლავე, - ჩუმად, მარგამ ბრძანების კილოთი მივმართე. - გაიხსენეთ, როგორი ფიცი მომეცით დღეს ეკლესიაში, საცოდავო ვაცუნავ, ფიცის გამტეხო!

შემკრთალი თვალებით შემომხედა. გაფითრებულიყო და დამნაშავესავით გამოიყურებოდა, ნაცემ ძალსავით ტუჩები აუკანკალდა. ჩანს, უეცრად ყველაფერი გაახსენდა და შეძრწუნდა.

- დიახ... - წაიბუტბუტა მან. - ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ჰო, მოვდივარ... მაპატიეთ... - და მისი ხელი ფულის მოხვეტას შეუდგა, ჯერ სწრაფად, ფიცხი მოძრაობით, შემდეგ კი თანდათან შეანელა, თითქოს ვიდაცა აკავებსო. მისი მზერა კვლავ რუს გენერალს შეხვდა.

- ერთ ნუთს... - ხუთი ოქრო იმავე ნომერზე დაყარა. - მხოლოდ ერთ ნუთს... გეფიცებით, ახლავე წამოვალ... ნება მომეცით, ეს ხელი, უკანასკნელი ხელი ვითამაშო...

ხმა კვლავ ჩაუწყდა. ბურთულა გაგორდა და მისი გონებაც თან წარიტაცა. ეს დამთხვეული ადამიანი ისევ ხელიდან გამისხლტა, ის საკუთარ თავსაც აღარ ეკუთვნოდა, მთელი მისი ყურადღება გაკრიალებულ თაბახს მიეპყრო, რომელშიც პანია ბურთულა ტრიალებდა და ხტოდა. კვლავ კრუპიეს ძახილი. ისევ მოხვეტა ხუთი ოქროს ფული: წააგო. მაგრამ არ შემობრუნებულა. მას ისევ დავაზინყდი, როგორც გადაავინყდა ერთი ნუთის წინათ ჩემთვის მოცემული ფიცი, საზეიმო სიტყვა. მისი ხარბი ხელი კვლავ ფულის გროვას წაეტანა და მთელი მზერა ანდამატურად მიეჭაჭვა ბედნიერების მომტან ურთიერთ მოპირდაპირე თამაშზე.

მოთმინების ფიალა ამევსო. ხელახლა შევანჯღრიე, მაგრამ უკვე მთელი ძალით.

- ამ ნუთში ფეხზე ადევით ამ ნუთში... ხომ თქვით, მხოლოდ ამ ხელს ვითამაშებო...

მაგრამ აქ მოხდა რაღაც მოულოდნელი. იგი უცებ ჩემკენ შემობრუნდა, სახეზე შეკრთომისა და დაბნეულობის ნასახიც აღარ ეტყობოდა: ეს უკვე იყო სახე გაფითრებული ადამიანისა, რისხვისა და გულისწყრომის გორგალი ანთებული თვალებითა და ათრთოლებული ტუჩებით.

- თავი დამანებეთ! - წაისისინა. - გამეცალეთ! თქვენ ჩემთვის უბედურება მოგაქვთ. ყოველთვის, როცა აქა ხარ, ვაგებ. წადით, მომშორდით!

ერთ ნუთს მთლად გავხვედი. მაგრამ მისმა გააფთრებამ ჩემს რისხვასაც ხელ-ფეხი გაუხსნა.

- მე თქვენთვის უბედურება მომაქვს? - სხაპასხუპით მივაყარე. - თქვენ მატყუარა, ქურდი ხართ, თქვენ ფიცი მომეცით...

აქ მე გაგჩერდი, რადგან ეს ბნედიანი ადამიანი სკამიდან წამოხტა და ხელი მკრა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია ირგვლივ ამტყდარ ხმაურს.

- თავი დამანებეთ! - დაბნეულმა მთელი ძალით დაიღრიალა. - თქვენ კმაყოფაზე ხომ არა ვარ... აი... აჰა... აი, თქვენი ფული! - და რამდენიმე ასფრანკიანი მომაყარა. - ახლა კი მომასვენეთ!

გონებადაკარგულმა ისე ხმამაღლა წამოიძახა, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწია გარშემო მყოფ ასობით ადამიანს. ყველა ჩურჩულებდა, შემოგვცქეროდა, ჩვენზე უთითებდა, იცინოდა, მეზობელი დარბაზიდანაც კი ცნობისმოყვარეებმა გამოიხედეს. მომეჩვენა, თითქოს სამოსი შემომახიეს და ახლა სავსებით შიშველი ვიდეფი ამ ცნობისმოყვარე ბრბოს წინაშე. „Silence Madame, s'il vous plait[21]“ - ხმამაღლა და ბრძანების კილოთი წარმოთქვა კრუპიემ და მაგიდაზე დააკაკუნა. მე, სწორედ მე მეხებოდა ამ არარაობის სიტყვები! დამცირებული, სირცხვილისაგან ალენილი, ცნობისმოყვარეთა დამცინავად მოჩურჩულე ბრბოს წინაშე კახპასავით ვიდეფი, რომელსაც ფული სახეში მიაყარეს. ორასი, სამასი თავხედი თვალი შემომამტერდა, და აი... როდესაც დამცირებით განადგურებულმა ბურგი შევაქციე, ჩემი მზერა შეხვდა საშინლად განცვიფრებულ თვალებს, - ეს იყო ქმრის ბიძაშვილი, რომელსაც პირი დაეღო, და თითქოს შეშინდაო, ხელი ასწია.

ამაზე დიდი დარტყმა რაღა იქნებოდა; ვერც კი მოასწრო გონს მოსვლა, ადგილიდან დაძვრა, რომ დარბაზიდან გავვარდი, ძალა მაინც მეყო, მივსულიყავი მერხამდე, იმ მერხამდე, რომელზეც გუშინ გაიშხლართა ეს უგუნური ადამიანი, და ასევე მოწყვეტილი დავეცი გულქვა, შეუბრალებელ ფიცარზე.

ეს იყო ოცდაოთხი წლის წინათ, და მაინც როდესაც ვიგონებ იმ ნუთს, იქ რომ ვიდეფი დამცირებული, უცხო ხალხის წინაშე მისი შეურაცხყოფით მიწასთან გასწორებული, სისხლი ძარღვებში მეყინება და კვლავ გულისტკივილით ვგრძნობ, თუ რაოდენ სუსტი, საცოდავი და არარა უნდა იყოს ყველაფერი ის, რასაც ასე მაღალფარდოვნად სულსა და გრძნობას

ვუნოდებთ, რასაც ტანჯვას ვეძახით, თუ ყოველივე ამას, ერთად ადებულს, არ ძალუძს გასრისოს განანამები ხორცი, ტანჯული სხეული, თუკი შეიძლება ასეთი ნუთების შემდეგ კვლავ სუნთქავდე, იმის ნაცვლად, რომ მოკვდე, დაეცე, როგორც მუხა მეხნაკრავი. ამ ტკივილმა, რამაც მთლიანად მომიცვა, შეძლო მხოლოდ ერთი ნამით ჩემი მერხზე მიკვრა, ამის შემდეგ სავსებით გავყურდი, სუნთქვა შევიკავე, აღარაფერს ვგრძნობდი, გარდუვალ სიკვდილს სიამით მოველოდი. მაგრამ უკვე გითხარით - ყოველგვარი ტკივილი მხდალია, იგი უკან იხევს სიცოცხლისაკენ მძლავრი ძახილის წინაშე, რომელიც, ეტყობა, უფრო ძლიერია ჩვენს სხეულში, ვიდრე ყოველგვარი მისწრაფება ჩვენი სულისა.

დღემდე ვერ გამიგია, როგორ შევძელი ასეთი მოთენთილობის შემდეგ ნამოდგომა. პირველ ნუთს არ ვიცოდი, რა მექნა. უცებ გამახსენდა - ჩემი ყუთები სადგურზე იყო, და მყისვე აზრმა გამიელვა: „შორს, შორს აქედან, მალე მოვცილდე ამ ადგილს, ამ წყეულ ჯოჯოხეთს!“ არავისთვის არ შემიხედავს, ისე გავიქეცი სადგურისაკენ, ვიკითხე, როდის გადიოდა უახლოესი მატარებელი პარიზისაკენ; ათ საათზეო, მომიგო კარისკაცმა, და მე მყისვე ჩემი ნივთები გასაგზავნად ჩავაბარე. ათი საათი! გაივლის ზუსტად ოცდაათხი საათი იმ საშინელი შეხვედრიდან. ეს ოცდაათხი საათი იმდენად იყო გამსჭვალული ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობების მოვარდნილი ნიაღვრით, რომ ჩემი შინაგანი სამყარო საუკუნოდ განადგურებული აღმოჩნდა. მაგრამ პირველად ვერაფერს ვგრძნობდი, ერთი სიტყვის გარდა, რომელიც დაუსრულებელი რიტმით მეორდებოდა, თითქოს ჩაქუჩით არტყამენო. „შორს! შორს! შორს!“ - მესმოდა საფეთქლებში კაკუნი, თითქოს ლურსმანს მაჭედებენო, „შორს! შორს! შორს!“ შორს ამ ქალაქიდან, საკუთარი თავისაგან, შინისაკენ, ჩემს ახლობლებთან, ჩემს წინანდელ ცხოვრებასთან!

იმავე ღამეს პარიზში ვიყავი. იქ ერთი სადგურიდან მეორეში მოვხვდი, შემდეგ კი პირდაპირ ბულონში, ბულონიდან - დუვრში, დუვრიდან - ლონდონში, ლონდონიდან - ჩემს ვაჟთან. ყველაფერი ეს ერთადერთი, დაუდგრომელი მისწრაფებით ხდებოდა, არ ვაზროვნებდი, არ ვფიქრობდი, ორმოცდარვა საათს უძილო, უჭმელი, უთქმელი ვიყავი, ორმოცდარვა საათს, რომლის განმავლობაში ვაგონის თვლები სულ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „შორს! შორს! შორს!“

ბოლოს, როდესაც მოულოდნელად ჩემს ვაჟთან აგარაკზე აღმოვჩნდი, ყველა შეძრწუნდა: ალბათ, ჩემს გამოხედვაში იყო ისეთი რამ, რომელმაც გამცა. ჩემს ვაჟს უნდოდა მომხვეოდა და ეკოცნა. უკან დავიხიე. ჩემთვის ის აზრიც აუტანელი იყო, რომ შვილი შეეხებოდა ბაგეებს, რომელთაც შებილწულად ვთვლიდი. შეკითხვებს თავი ავარიდე, ვთხოვე მხოლოდ აბაზანა მოემზადებინათ, რადგან მსურდა გზის მტვერთან ერთად ჩემი სხეულიდან ჩამომერეცხა ყველაფერი, რაც მას დამთხვეული, უღირსი ადამიანის გატაცებისაგან მოედო. შემდეგ ჩემს ოთახს მივაშურე და თორმეტ-თოთხმეტ საათს ისეთ ღრმა ძილს მივეცი თავი, რაც ჩემს ცხოვრებაში, არასოდეს გამომეცადა; ამის შემდეგ ვიცი, რას ნიშნავს კუბოში წოლა და მიცვალებულად ყოფნა. ახლობლები მექეცოდნენ როგორც ავადმყოფს, მაგრამ მათი ასეთი სინაზე ტკივილს მგვრიდა, მრცხვენოდა მათი თავაზიანობისა, მათი პატივისცემისა, და ყოველთვის თავს კონტროლს ვუნევდი, მათთვის უცებ პირში არ მიმეხალა, როგორ ვუღალატე მათ, დავივინყე, კინაღამ თავიც არ გავანებე უგუნური, შმაგი ვნების გულისთვის.

შემდეგ უმიზნოდ გავემგზავრე საფრანგეთის პატარა ქალაქში, სადაც არავის ვიცნობდი; ახირებული აზრი ამეკვიატა, მეგონა ყველას პირველი შეხედვისთანავე შეეძლო შეემჩნია ჩემი შერცხვენა, ჩემში მომხდარი გარდატეხა, - იმდენად ვგრძნობდი თავს მოტყუებულად და შებღალულად. როდესაც დილაობით ჩემს ლოგინში ვიდვიძებდი, საშინელი შიში მიპყრობდა. თვალის გახელისაყ კი მეშინოდა. კვლავ მეუფლებოდა იმ ღამის მოგონება, როდესაც მოულოდნელად უცხო, ნახევრად შიშველი მამაკაცის გვერდით გამეღვიძა და ყოველთვის, როგორც იმ ღამეს, მხოლოდ ერთი სურვილი მებადებოდა - მაშინვე მოვმკვდარიყავი.

მაგრამ დროს უდიდესი ძალა აქვს, სიბერე კი საოცრად ფასს უკარგავს ყოველგვარ გრძნობას. შეიმჩნევა სიკვდილის სიახლოვე, მისი შავი აჩრდილი ეცემა გზაზე, და ყველაფერი ნაკლებ მკაფიოდ გეჩვენება, ისე ღრმად აღარ გიპყრობს და კარგავს თავის საბედისწერო ძალას. თანდათან წარსული ნუხილი დავინყებას ეძლევა, და როდესაც მრავალი წლის შემდეგ ერთ საზოგადოებაში ახალგაზრდა პოლონელს, ავსტრიის

საელჩოს ატაშეს შევხვდი და მან იმ ოჯახის ამბავი მომითხრო - ჩემი ნათესავის ვაჟმა ათი წლის წინათ მონტე კარლოში თავი მოიკლა, არც კი შევძრთალვარ, გულიც კი არ მტკენია: შეიძლება, - რა საჭიროა საკუთარი ეგოიზმის დამალვა? - გამეხარდა კიდევ, რადგან ახლა აღარ უნდა მშინებოდა, რომ ოდესმე მას შევხვდებოდი; მონშეები აღარ მყავდა საკუთარი თავის წინააღმდეგ, ჩემივე მოგონებების გარდა. მას შემდეგ უფრო დავწყნარდი. დაბერდე - ნიშნავს წარსულისა აღარ გეშინოდეს.

ახლა კი მიმიხვდებით, უცებ რატომ გადავწყვიტე მომეთხრო თქვენთვის ამ საბედისწერო შეხვედრის ამბავი. როდესაც იცავდით ქალბატონ ჰანრიეტს და მგზნებარედ განაცხადეთ, ოცდაოთხ საათს შეუძლია სავსებით განსაზღვროს ქალის ბედით, მომეჩვენა, თითქოს ამას ჩემზე ამბობდით: ოჰ, როგორი მადლობელი ვიყავი თქვენი, მე ხომ პირველად თავი თითქოს გამართლებულადაც კი ვიგრძენი და გავიფიქრე: თქვენთვის გული რომ გადამეშალა, შეიძლებოდა მისი და საკუთარი თავის სიძულვილის გარეშე ხვალვე წავსულიყავი იქითკენ და იმავე დარბაზში მოვხვედრილიყავი. მაშინ გულიდან ლოდი მომცილდებოდა, იგი მთელი თავისი სიმძიმით ჩემს წარსულს დაანჯებოდა და ეს წარსული არასოდეს აღდგებოდა. რა კარგია, რომ ყველაფრის მოყოლა შევძელი, ახლა გულს მომეშვა და თითქმის გავმხიარულდი კიდევ... დიდად გამადლობთ.

ამ სიტყვებით ქალი წამოდგა; ვგრძნობდი, დაასრულა. ოდნავ შემკრთალი ვფიქრობდი, რაიმე მეთქვა. მაგრამ, ეტყობოდა, ჩემი დაბნეულობა შენიშნა და გამაფრთხილა: - არა, გთხოვთ არაფერი თქვათ... არ მინდა პასუხი მომცეთ ან რაიმე მითხრათ... გამადლობთ, რომ ბოლომდის მომისმინეთ, და კეთილ მგზავრობას გისურვებთ.

ქალმა გამოსათხოვებლად ხელი გამომიწოდა. უნებლიეთ შევხედე. ამაღელვებლად მშვენიერი მომეჩვენა ამ მოხუცი ქალის სახე, რომელიც გულდიად და ოდნავ დარცხვენით შემომცქეროდა. გარდასული ვნების ანარეკლმა თუ მოგონებებით გამოწვეულმა დაბნეულობამ მის სახეს ჭაღარა თმის ძირებამდე მენამული ფერი გადაჰკრა, - როგორც ახალგაზრდა გოგონა იდგა ჩემს წინაშე მოგონებებით დაბნეული და თავისი აღსარებით დარცხვენილი.

სიტყვას ვეძებდი, მისთვის რომ ჩემი პატივისცემა გამომეხატა. მაგრამ კრიჭა რაღაცამ შემიკრა. სხვაფრივ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, მდაბლად თავი დავეუკარი და ვერხვის ფოთოლივით მის ოდნავ მოცახცახე, დამტკნარ ხელს მოკრძალებით ვეამბორე.

[1] „ქალის ცხოვრების ოცდაოთხი საათი“ დაიბეჭდა 1926 წელს ნოველათა კრებულში - „გრძნობათა ჩოჩქოლი“.

[2] Small talk -(ინგ.) საუბარი უმნიშვნელო ამბებზე.

[3] ნამიური - ბელგიის ერთ-ერთი ქალაქი.

[4] Coup de foudre -(ფრანგ.) შეყვარება პირველი დანახვისთანავე; სიტყვა სიტყვით: მეხის დაცემა.

[5] ტუშე - (ლათ. ფრანგ.) - შეურაცხყოფა.

[6] „Gentlemen, please“ -(ინგლ.) ბატონებო გთხოვთ (დანყნარდით).

[7] Crime passionnel - (ფრანგ.) ვნებით გამოწვეული დანაშაული.

[8] Grande amoureuse - (ფრანგ.) მგზნებარედ შეყვარებული.

[9] Is that so? - (ინგლ.) განა ეს მართლა ასეა?



[10] Would you really? - (ინგლ.) - ნამდვილად ასე მოიქცეოდით?

[11] Surely I would - (ინგლ.) - რასაკვირველია, ასე მოვიქცეოდი.

[12] I don't know, if I would. Perhaps I might do it also - (ინგლ.) - არ ვიცი, მე როგორ მოვიქცეოდი. შესაძლოა, ასევე.

[13] Cara signora Henrietta - (იტალ.) - ძვირფასი ქალბატონი ჰენრიეტი.

[14] ანგლიკანური სარწმუნოება - კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით ანგლიკანური უარყოფს აღსარებას და ცოდვების განტევენას.

[15] მონტე კარლო - ხმელთაშუაზღვის პირას მდებარე პატარა სახელმწიფო, მონაკოს ქალაქი - კურორტი, ცნობილია სამორინეებით.

[16] Fleur d'elegance (ფრანგ.) - ელეგანტობის მწვერვალი.

[17] კრუპიე - (ფრანგ.) სამორინეში თამაშის მეთვალყურე, რომელიც მოგებულ ფულს აძლევს მოთამაშეთ.

[18] Impassibilite (ფრანგ.) - უვნებობა, ვნებას მოკლებულობა, უგრძნობელობა.

[19] რულეტი - ერთგვარი აზარტული თამაში.

[20] „Faites votre jeu!“ - (ფრანგ.) ჩადით ფული (რულეტის თამაშის დროს კრუპიეს მიმართვა მოთამაშეებისადმი).

[21] „Silence, Madame, s'il vous plait!“ - (ფრანგ.) ნყნარად, ქალბატონო, გთხოვთ!

